პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган центрального и тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 18 ივლისი, 1951 წ. № 167 (9021). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სასოფლო საბჭოების როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
მალაროელი კომუნისტები და ბრძოლა მომპირნეობისათვის (მე-2 გვერდი).
ბოლშევიკური საქმიანობა მუშაობაში — „პრავდის" 17-VII მოწინავე (მე-2 გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
რუსთავშიც სტალინგრადულად (მე-3 გვერდი).
ვ. გოგუაძე — ამერიკელი ჟურნალისტი საბჭოთა კავშირის შესახებ (მე-3 გვერდი).
დროულად მოვამზადოთ ნიადაგი ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად (მე-3 გვერდი).
გამოფენა — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს" (მე-3 გვერდი).
ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
მასობრივი მიტინგი ლონდონში (მე-4 გვერდი).

სასოფლო საბჭოების როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

საბჭოთა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით წარმატებით განახორციელა მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმა და მტკიცედ განაგრძობს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ჩვენი სამშობლოს ახალ დიად გამარჯვებათა საქმეში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმაც. ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „საქართველოს სსრ 1946-1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ".

ხუთწლედის დავალებათა შესრულების შედეგების გამოქვეყნებამ უსაზღვროდ აღაფრთოვანა საქართველოს მშრომელები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებმაც იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ამჟამად რესპუბლიკის ყველა რაიონში გაჩაღებულია მძლავრი შემოქმედებითი შრომა ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

კოლმეურნე გლეხობა მექანიზატორებთან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად თავდადებულად იბრძვის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. კახელ და ქართლელ კოლმეურნეებს ძალღონე არ დაუზოგავთ, რათა წელს მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავალი მოეყვანათ. ნაყოფიერად იმუშავეს მეჩაიეობის რაიონის მშრომელებმა ჩაისა და სხვა ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად. თავდადებულ შრომას ეწევიან მეცხოველეობის რაიონების მშრომელებიც, რომელთაც ნამატის შენარჩუნების მაღალ პროცენტს მიაღწიეს და პირუტყვის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაადიდეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი ჩვენი საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების ზრდისა და მათი შეგნებულობის დონის ამაღლების, საკოლმეურნეო წარმოებაში მექანიზაციისა და საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების შედეგია. ამასთან ეს წარმატებანი იქ უფრო მეტია, სადაც კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრებს მუდამ ეხმარებიან პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სადაც პარტიის რაიკომები, ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები ყოველდღიურ ინტერესს იჩენენ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებისადმი, ღრმად სწავლობენ კოლმეურნეობათა ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს.

ამჟამად ცხოვრება ადგილობრივი საბჭოების, კერძოდ კი სასოფლო საბჭოების წინაშე სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ახალ გადიდებულ მოთხოვნებს აყენებს. სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები — მჭიდროდ არიან დაკავშირებული კოლმეურნე გლეხობის ფართო მასებთან. ამიტომ მათს ორგანიზატორულ საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა მუშაობის წარმატება.

სასოფლო საბჭოები ბევრგან კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ.

მცხეთის რაიონის მუხრანის სასოფლო საბჭომ წელს მთელ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა ვადაზე ადრე შეასრულა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა და კარგად მოემზადა მოსავლის აღებისათვის. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ამ სასოფლო საბჭოს უნარიანი მუშაობა არაერთხელ აღუნიშნავთ აქტივის რაიონულ თათბირებსა და კრებებზე.

რა არის ამ სასოფლო საბჭოს წარმატების საფუძველი?

ის, რომ საბჭოს, მის აღმასკომს, დეპუტატებს სწორად ესმით მათ წინაშე მდგომი ამოცანები, თავდადებით იბრძვიან კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიისა და მისი მრავალრიცხოვანი აქტივის საშუალებით სასოფლო საბჭო მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადასთან. საბჭო კარგად ამზადებს და სისტემატურად აწყობს სესიებს და აღმასკომის სხდომებს, რომელთა გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, კოლმეურნეები იხილავენ თავიანთ კრებებზე და თათბირებზე, იბრძვიან მათი შესრულებისათვის. საბჭო ეხმარება კოლმეურნეობას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის საქმეში, კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში. სასოფლო საბჭოს ასეთი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად მასში შემავალმა კოლმეურნეობებმა წარმატებით დაიწყეს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა საშუალოდ ჰექტარზე 18-20 ცენტნერ ხორბალს იღებს, პირველი განალეწიდანვე აბარებს სახელმწიფოს მარცვლეულს.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის კარგ მაგალითებს იძლევიან აგრეთვე მახარაძის რაიონის ნატანებისა და შრომის, ყვარლის რაიონის შილდისა და გავაზის, ლაგოდეხის რაიონის შრომისა და აფენის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოები. მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭო ყოველთვის ადევნებს თვალყურს კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობას, ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობას შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და შრომის მოწესრიგებაში. სასოფლო საბჭოს დახმარების მეოხებით კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის დავალებას, ყოველმხრივ მოწინავეა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ყველა სასოფლო საბჭო როდი იჩენს სათანადო უნარსა და ინიციატივას. მაგალითად, ხაშურის სასოფლო საბჭოში ფაქტიურად ჩაშლილია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, თავის დროზე არ ეწყობა სესიები, ზერელედ ხდება სესიებისა და აღმასკომის სხდომებზე კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხების განხილვა, საბჭოს მუდმივი კომისიები არ მუშაობენ. ყოველივე ამის შედეგად ამ საბჭოში შემავალ სოფელ ქალისუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში არის საკოლმეურნეო წესდების უხეში დამახინჯების შემთხვევებიც, არ სრულდება დავალებანი.

დიდი და მრავალფეროვანია სასოფლო საბჭოების წინაში დასახული ამოცანები. ამ ამოცანებიდან უმნიშვნელოვანესია ყოველდღიური ზრუნვა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მოსავლიანობის ზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, სოფლად კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მობილიზაციის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის. სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს სასოფლო საბჭოს ორგანიზატორული როლის ამაღლებას, მშრომელთა ფართო მასებთან მისი კავშირის გაფართოებას და განმტკიცებას, ამომრჩეველთა განაწესის უკეთესად შესრულებას. ამას კი ადგილებზე ნაკლებად ითვალისწინებენ. ფაქტია, რომ სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ბევრგან ფორმალურ ხასიათს ატარებს. ყოველთვის არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ჟიური იშვიათად აჯამებს სასოფლო საბჭოებს შორის გაჩაღებული შეჯიბრების შედეგებს, ხელს არ უწყობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, ჩამორჩენილთა დაწინაურებას. ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია. სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და მისდამი ხელმძღვანელობას რაისაბჭოების აღმასკომებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

სასოფლო საბჭოები მთელ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მუდმივად უნდა გრძნობდნენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას და დახმარებას. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა იზრუნონ იმისათვის, რომ ადგილობრივი საბჭოები აქტიურად იბრძოდნენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მათ წინაშე დასახული ყველა ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

საბჭოთა კავშირში

★

ქალაქ მოლოტოვის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა

მოლოტოვი, 16 ივლისი. (საკდესი). დამტკიცებულია დასავლეთ ურალის ცენტრის — ქალაქ მოლოტოვის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია 25 წლისათვის.

რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქი მოლოტოვი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იქნება. მას ექნება 10-ჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 1917 წელს ჰქონდა. გეგმით გათვალისწინებულია 37 სკოლის, 4 ინსტიტუტის, 4 ტექნიკუმის, 20 საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის, ოპერის თეატრის ახალი შენობის, ცირკის, კინოთეატრების, კლუბების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების აგება.

ქალაქის მთავარ ქუჩებში აიგება 4-5-სართულიანი სახლები. ეგრეთწოდებული „ქალაქის გორაკების" ადგილზე აშენდება უმაღლეს სასწავლებელთა ქალაქი.

განხორციელდება სამდინარო ნავსადგურის სრული რეკონსტრუქცია. მდინარე კამის სანაპირო მოპირკეთებული იქნება გრანიტით. განზრახულია გაშენდეს კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკი, რომლის ტყის მასივი 850 ჰექტარს შეადგენს.

გენერალური გეგმით გათვალისწინებული ბევრი ობიექტის მშენებლობა უკვე დაიწყო.

მხატვრული კერამიკა მეტროს სადგურებისათვის

სკულპტურის ნაწარმოებნი, მოზაიკური პანოები, მხატვრული ნაძერწი, ბრინჯაოს და უნატიფესი ჩუქურთმიანი მარმარილოს ჭაღები დაამშვენებენ მოსკოვის მეტროს დიდი რკალის ახალ სადგურებსა და მიწისზედა ვესტიბიულებს.

ახალი მიწისქვეშა სასახლეების კედლების, პილონების, სვეტების მოსაპირკეთებლად გრანიტთან და მარმარილოსთან შეხამებით ფართოდ გამოყენებული იქნება კერამიკის ნაკეთობანი. მოსკოვის ბულგანინის სახელობის კერამიკის ფილის ქარხანა მეტროს „კომკავშირული - ირგვლივი", „ბოტანიკური ბაღისა" და „ბელორუსიის" სადგურების მხატვრული გაფორმებისათვის უშვებს ორასზე მეტ სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალს, მათ შორის ოქროს ორნამენტით შემკულ კაპიტელებს, სკულპტურულ ბარელიეფებს, თეთრ, ცისფერ და ნარინჯისფერ ფილებს, სარტყლებს და სხვა დეტალებს. (საკდესი).

ახალი რამ საფეიქრო წარმოებაში

ორეხოვო-ზუევო, 17 ივლისი. (საკდესი). ორეხოვოს ბამბეულის კომბინატის ნიკოლაევის სახელობის ძაფსაგრეხ ფაბრიკაში წარმოებაში ინერგება ახალი ხელსაწყო, რომელიც აჩერებს ძაფის მიწოდებას მშრალი გრეხის საგრეხ მანქანაზე ძაფის გაწყვეტის დროს. პირველი 7 ათასი ხელსაწყო მორგებულია ჩქაროსნული კომპლექტების მოწყობილობაზე.

ახალმა სამარჯვემ შესაძლებელი გახადა დანაკარგის 30 პროცენტით და ძაფის წყვეტის 11 პროცენტით შემცირება. გადიდდა მოწყობილობის წარმადობა. ყველა მუშა, რომელიც მომსახურებას უწევს ამ ხელსაწყოიან მანქანებს, უკვე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

კომბინატის საექსპერიმენტო სახელოსნოს გადაეცა კიდევ 6 ათასი ხელსაწყოს დაკვეთა.

ლენინგრადი. წელს დიდი მუშაობაა გაწეული ნევის პროსპექტის რეკონსტრუქციისათვის. პროსპექტზე აყრილია ტრამვაის ლიანდაგები, გაფართოებულია ტროტუარები. **სურათზე:** ნევის პროსპექტი რეკონსტრუქციის შემდეგ.

ფოტო პ. ფედოტოვისა და ნ. ნაუმენკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე

კუიბიშევი, 14 ივლისი. (საკდესი). ბობოქრობს ქაფმორეული ვოლგა ჟიგულის მთებთან. აქ, მის ფსკერზე, ჩაყრილია ათეულ ათასობით კუბმეტრი ქვა. ეს ბანქეტი 270 მეტრზე გაიჭიმა ვოლგის დინების გარდიგარდმო.

მალე მდინარის ამ დიდ მონაკვეთს, ამ ბანქეტის უკან გადაღობავს მიწის ზღუდარი. წყალი იქედან ამოიტუმბება, და ფსკერზე დაეშვებიან ექსკავატორები კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის შენობის ქვაბულის სათხრელად.

ახლა ამ რაიონშია ვოლგის მემდინარეთა მიწახაპია. მას გრუნტი ამოაქვს წყლიდან და აღრმავებს მომავალ ქვაბულს. „ვოლგსკაია-22"-ის რკინის ციცხვები მდინარის ფსკერიდან იღებენ ლამიან გრუნტს და მას ტვირთავენ გვერდზე მდგომ ნავზე. 20-25 წუთი, და ნავი დატვირთულია. შეთანხმებით მუშაობს გემის კოლექტივი, რომელსაც მიწახაპიას უფროსი ძველი ვოლგელი ამხ. ალექსანდროვი მეთაურობს. გემის გეგმით დადგენილი საშუალო დღიური ნორმა 2.737 კუბური მეტრი გრუნტია. ეს სისტემატური გადაჭარბებით სრულდება. მდინარის ფსკერიდან უკვე ამოღებულია 203 ათასი კუბური მეტრი მიწა.

წყალქვეშა მიწის სამუშაოებს აწარმოებს აგრეთვე მიწახაპია მანქანა „ვოლგსკაია-19", რომელიც აქ სარატოვიდან მოვიდა. მან ამოიღო 110 ათასი კუბური მეტრი გრუნტი.

მიწის თხრის სამუშაოთა ტემპი იზრდება ნაპირზეც, სადაც ექსკავატორებით იღებენ ქვაბულის მდინარის ნაპირის ნაწილს. შექმნეს რა კომპლექსური ბრიგადები, მექსკავატორეებმა და თვითმცლელების მძღოლებმა სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს — ქვაბულიდან გრუნტის ამოღება და გაზიდვა დღეში გაიზარდა 12.500 კუბურ მეტრამდე.

პირველი მაღალვოლტიანი ხაზი

ტახია-ტაში, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მშენებლობის სამრეწველო მოედანზე დაიწყო პირველი მაღალვოლტიანი ხაზის სადენთა გაყვანა. ეს ხაზი ენერგიას მიაწვდის დამხმარე საწარმოებს, აგრეთვე სინათლეს ტახია-ტაშის მცხოვრებლებს.

მემონტაჟეებმა ვალდებულება იკისრეს დაწესებულ ვადაზე ათი დღით ადრე გადასცენ ხაზი საექსპლოატაციოდ.

ელექტროშემდუღებელმა იური ქუკოვმა ნახევარ სამუშაო დღეში შეასრულა ცვლის დავალება. სტახანოველურად შრომობენ ელექტრომონტიორი უსუფ ულუგბეკოვი და ზეინკალი იაკობ იაკოვლევი. ისინი უზრუნველყოფენ არმატურის ჩქაროსნულ დამზადებას.

საპატიო დაკვეთა ვადამდე შეასრულეს

ალმა-ატა, 16 ივლისი. (საკდესი). ალმა-ატის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ მიიღო კომუნიზმის დიადი მშენებლობათა დაკვეთა. ქარხანას უნდა გაეკეთებინა მძლავრი საბურღავი ინსტრუმენტი. საწარმოს კოლექტივი აღფრთოვანებით შეუდგა ახალი სახის პროდუქციის ათვისებას.

მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა შემოქმედებითმა ინიციატივამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა. მოწყობილობის, ინსტრუმენტის მაღალნაყოფიერმა გამოყენებამ, მასალის, ელექტროენერგიის დაზოგვამ შესაძლებელი გახადა პროდუქციის თვითღირებულების 25 პროცენტით შემცირება.

საბურღავი ინსტრუმენტის გამოშვების შვიდი თვის პროგრამა ვადამდე შესრულდა. დღეს მანქანათმშენებლებმა აგვისტოს ანგარიშში გამოუშვეს საბურღავი ინსტრუმენტები. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის დაამთავროს დიად მშენებლობათა წლიური დაკვეთის შესრულება.

ი. ბ. სტალინის მონუმენტი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 14 ივლისი. (საკდესი). ცნობილმა უნგრელმა მოქანდაკემ შანდორ მიკუშმა დაამთავრა ი. ბ. სტალინის ქანდაკების თაბაშირით ჩამოსხმა მონუმენტისათვის, რომელიც ბუდაპეშტში დაიდგმება. ამ დღეებში დაიწყებენ ბრინჯაოს მონუმენტის ჩამოსხმას.

მონუმენტის დასადგმელი ადგილის წინ ქალაქის პარკში იქმნება მოედანი, სადაც მოეწყობა სადღესასწაულო დემონსტრაციები.

მონუმენტი 21 დეკემბერს გაიხსნება.

—○—

ალბანეთის მშრომელები სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს

ტირანა, 16 ივლისი. (საკდესი). ალბანეთის მშრომელები და განსაკუთრებით ალბანეთის შრომის პარტიის წევრები დიდ ინტერესს იჩენენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებისადმი.

ალბანეთის მეცნიერებათა ინსტიტუტი ცენტრია, რომელიც ალბანურ ენაზე თარგმნის და დასაბეჭდად ამზადებს მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურას. 1948 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები გამოიცა 68.640 ცალად, 1950 წელს მათმა ტირაჟმა 140 ათასს მიაღწია. გამოიცა: კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", კ. მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", „ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული", ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია", ი. ბ. სტალინის „ლენინიზმის საკითხები" და სხვ. სულ სამ წელიწადში გამოვიდა 20 ნაწარმოები.

1951 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ტირაჟი კიდევ უფრო გადიდდა. უკვე გამოიცა ლენინისა და სტალინის რჩეული შრომა 70.000 ცალად, მათ შორის ლენინის ნაშრომები „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში", ი. ბ. სტალინის შრომები „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ", „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები".

მეცნიერებათა ინსტიტუტმა გაითვალისწინა ძლიერ გაზრდილი მოთხოვნილება მარქსისტულ ლიტერატურაზე და განსაკუთრებით ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებზე და გააძლიერა მუშაობა სტალინის შრომების ალბანურ ენაზე თარგმნისათვის.

—○—

რუსული ენის შესწავლა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 14 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა მ. გორკის სახელობის რუსული წიგნის ბიბლიოთეკასთან არსებული რუსული ენის კურსებზე სასწავლო წლის შედეგებს.

მოხსენება გააკეთა გორკის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორმა ფ. კენიგმა. მან აღნიშნა, რომ უნგრეთის მშრომელებში სულ უფრო მატულობს ლენინისა და სტალინის, პუშკინისა და გორკის ენის შესწავლის ინტერესი. 1947 წელს, თქვა მან, ბიბლიოთეკასთან არსებულ კურსებზე 200 კაცი სწავლობდა. წელს 8.600 კაცი სწავლობს.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომლის მონაწილეებმა — კურსების მსმენელებმა რუსულ ენაზე შეასრულეს სხვადასხვა საბჭოთა ხალხური სიმღერა.

კურსებთან გახსნილ გამოფენაზე უჩვენეს კურსანტების მრავალი ნაშრომი რუსულ ენაზე. თხზულებები მიძღვნილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომებისადმი, ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი და სხვ.

სოციალისტური შრომის გმირები



ვ. გ. ტულუში
მახარაძის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 51 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.023 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ვ. ბ. სამსონია
ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.203 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ხ. ი. ქურიძე
მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის" წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.201 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ა. პ. ღლონტი
მახარაძის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.057 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

თამარისის მტს-მა მოსავლის აღების გეგმა შეასრულა

ბოლნისი. (ტელეგრაფით). თამარისის მტს-მა 15 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა პურეულის მოსავლის აღების გეგმა. აღებულია 2.300 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.150 ჰექტარისა.

თამარისელი მექანიზატორები განაგრძობენ მოსავლის აღებას.

პარტიული ცხოვრება

მაღაროელი კომუნისტები და ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მეხუთე უბანი გეგმას ვერ ასრულებდა. 1950 წლის გეგმა უბანმა მხოლოდ 86 პროცენტით შეასრულა; დაბალი იყო მადნის ხარისხი და შრომის ნაყოფიერება; პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მაღალი იყო.

პარტიულმა ბიურომ (მდივანი ამხ. პ. მახათაძე) საფუძვლიანად, ყოველმხრივ შეისწავლა უბნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზები. გამოირკვა, რომ უბანში მოუწესრიგებელი იყო შრომა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, ირღვეოდა სამთო-ტექნიკური უშიშროების წესები, უყაირათოდ იხარჯებოდა სამაგრი მასალა, ელექტროენერგია, დამხმარე მასალები. უბნის 12 მუშა დავალებას ვერ ასრულებდა, ხოლო მარგანეცის 16 ამწმენდიდან სტახანოველი მხოლოდ სამი იყო.

მეხუთე უბნის მუშაობის საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. მოსმენილ იქნა უბნის უფროსის ამხ. დ. ფალავანდიშვილის მოხსენება. საქმიანად და კრიტიკულად გამოვიდნენ კომუნისტები: ამწმენდი ა. ჭილლაძე, ელექტროტექნიკოსი ა. ნოზაძე, ცვლის უფროსი გ. ბრეგვაძე, მარკშეიდერი გ. მუმლაძე, მაღაროს დირექტორი გ. ბერიშვილი. მათ ამხილეს უბნის მუშაობის ნაკლოვანებანი და სერიოზული წინადადებანი წამოაყენეს შრომის ნაყოფიერების გადიდების, მასალების მომჭირნეობით ხარჯვისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. პარტიულმა კრებამ უბნის მუშაობის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ კონკრეტული ღონისძიება დასახა. ყველას გარკვეული დავალება მიეცა. დაწესდა დავალებათა შესრულების ვადები. მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ერთსულოვნად დაირაზმა უბნის კოლექტივი. უბნის № 66 და 68 შტრეკებში გაიყვანეს საელმავლო ხაზი, მოეწყო ელმავლის ასაქცევები, რითაც დაჩქარდა ვაგონების მიმოქცევა, დაიდგა ახალი ჯალამბრები, მკაცრი კონტროლი დაწესდა მასალებისა და ელექტროენერგიის მოხმარებისადმი.

აი როგორია ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგი: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა მადნის თვითღირებულება. უბანმა მეორე კვარტალში რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დაზოგა, ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებს. უბნის კოლექტივი მესამე თვეა ინარჩუნებს უბნებისათვის დაწესებულ გარდამავალ წითელ დროშას.

მაღაროელმა კომუნისტებმა ასევე საქმიანად იმსჯელეს მე-6 უბნის მუშაობის, ახალი მექანიზმების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე. მიღებულ ღონისძიებებს კარგი შედეგი მოჰყვა. მებიგეებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მაღალნაყოფიერი მუშაობისა და სამაგრი მასალის უნაირიანად გამოყენებისათვის. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს კომუნისტებმა დ. მგალობლიშვილმა, დ. აბრამიშვილმა, გ. იობაშვილმა, ნ. სამხარაძემ, ა. ლულუნიშვილმა, უპარტიო ბოლშევიკმა შ. დარბაიძემ. ისინი ყოველთვის სტახანოვურად მუშაობენ, ყაირათიანად ხარჯავენ სამაგრ მასალას.

მაღაროელმა კომუნისტებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს აგრეთვე გასასტანი ბიგების მოწყობილობისა და მაღაროდან ბიგების გამოსატაცებელი ჯალამბრების გამოყენებისათვის. ამ ღონისძიების განხორციელებით მაღაროს კოლექტივმა ექვს თვეში 282.500 მანეთის სამაგრი მასალა დაზოგა.

კომუნისტების თაოსნობით როგორც მაღაროში, ისე მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებში მოხდა ელექტროძრავებისა და ტრანსფორმატორების შეცვლა-გადაჯგუფება, რითაც სამეურნეო წლის პირველ ნახევარში 20 პროცენტით შემცირდა ელექტროენერგიის ხარჯი და ამით მიღებულმა ეკონომიამ 40.000 მანეთი შეადგინა.

მასალებისა და ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვაში გამოირჩევიან პირველი, მეხუთე და მეექვსე უბნები, რომლებსაც კომუნისტები ქ. სებისკვერაძე, დ. ფალავანდიშვილი და ქ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი 115-120 პროცენტით ასრულებენ გეგმებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას და იძლევიან ზეგეგმით დაგროვებას. ამ წარმატებებს თავიანთი ბეჯითი მუშაობით ხელს უწყობენ კომუნისტი სტახანოველები ქ. ღვთაძე, ქ. ნადირაძე, ა. დარბაიძე, გ. ბიბიაშვილი, ტრიფონ და ალექსანდრე ჭილლაძეები, გრიგოლ და გიორგი იაკობიძეები.

წარმოებაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის იბრძვიან მაღაროელი აგიტატორები. აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე ინჟინრებმა გ. ბერიშვილმა, გ. ასათიანმა, მ. ბრეგვაძემ მოაწყეს საუბრები შრომის სწორი ორგანიზაციისა და მომჭირნეობის საკითხებზე. აგიტატორები ა. ნადირაძე, ს. ჭილლაძე, ზ. დარბაიძე, შ. კაპანაძე, გ. გაფრინდაშვილი, ტ. ჭილლაძე, ტ. იაკობიძე, მ. აბდუშელიშვილი სააგიტაციო საუბრებს მოხერხებულად უკავშირებენ მასალებისა და ელექტროენერგიის ყაირათიანად გამოყენების საკითხებს; ისინი განაზოგადებენ და პოპულარიზაციას უწევენ იმ ამხანაგების გამოცდილებას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში ყაირათიანობით, გმობენ და ჰკიცხავენ დაუდევრებს.

მაღაროს პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს ისეთ თემებზე ლექცია-საუბრების მოწყობას, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან. მაღაროელებისათვის ინჟინრებმა შ. პაქსაშვილმა, ა. გავაშელმა, გ. ბერიშვილმა, გ. ასათიანმა ჩაატარეს ლექცია-საუბრები წარმოებაში მაღალი კულტურისათვის ბრძოლის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, შრომის სწორი ორგანიზაციის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისა და სხვა საკითხებზე.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა თავდადებული შრომითა და მკაცრი მომჭირნეობით ჯერ კიდევ 27 ივნისისათვის შეასრულა შვიდი თვის დავალება, აამაღლა შრომის ნაყოფიერება, სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მარგანეცის რეალიზაციით სამშობლოს მისცა საგრძნობი მოგება, აქედან გეგმის გადამეტებით 1.933.300 მანეთი. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული მოგება კი 515.000 მანეთს აღწევს. ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი მაღაროელ კომუნისტებს მიუძღვით.

მაღაროელი კომუნისტები მთელ კოლექტივთან ხელიხელჩაკიდებულნი უფრო გააძლიერებენ მომჭირნეობისათვის ბრძოლას, მთლიანად გამოიყენებენ არსებულ შესაძლებლობას, იმუშავებენ ყაირათიანად, რენტაბელურად, სამშობლოს მისცემენ ზეგეგმით დაგროვებას.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

თათბირი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე

ხაშური. („კომ." კორ.). პარტიის ხაშურის რაიკომმა მოიწვია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტატორების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რაიონული თათბირი.

მოსავლის აღებისა და პურის დამზადების პერიოდში სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ასპინძელაშვილმა.

წელს ხაშურის რაიონში 9 ათას ჰექტარზე მეტი პურეულია ასაღები. მოსავლის აღება დაიწყო. მინდვრად კოლმეურნეებთან მუშაობს 553 აგიტატორი. ისინი რაზმავენ კოლმეურნეებს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. აგიტატორები ქეთო გომართელი (ქვიშხეთი), ტ. გაგლოშვილი (ღართა), მარიამ კვირიკაძე (ხცისი), ს. კულიჯანოვი (ვაყა) და სხვები კოლმეურნეებს განუმარტავენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, ესაუბრებიან ჩვენი სოციალისტური ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, უშვებენ საველე ფურცლებს. ამჟამად აგიტატორები საუბრებს ატარებენ საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებზე.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მაღალ დონეზე აწყობენ სოფელ ტეზრის, ქვიშხეთის, ხცისის, ღართის და სხვა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები. მათ შედგენილი აქვთ მოსავლის აღების პერიოდში ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული გეგმა.

სოფლის აგიტატორების დასახმარებლად რაიონში შექმნილია 30 აგიტკოლექტივი. აღსანიშნავია სოფელ ქვიშხეთის, ნაბახტევის, გომის, ალის და ღუდის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივების კარგი მუშაობა.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტია. აგიტატორთა ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას. აგიტატორები თამარ ლურსმანიშვილი (სატივე) და ელენე ჯობაძე (გომი) მოუმზადებლად ატარებენ საუბრებს. სუსტად ეხმარებიან აგიტატორებს თავგვეთისა და ხაულეთის აგიტკოლექტივები.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს ქვემო ოსიაურის და ბიჯნისის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციათა მდივნებმა გ. გიგაშვილმა და ს. მეტივიშვილმა, ალის და ქვიშხეთის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა ა. ნოზაძემ და ქ. კიკნაძემ, აგიტატორებმა მარო ტაბატაძემ, მ. კობალაძემ, ვალენტინა აკოფოვამ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. კალანდარიშვილმა და სხვებმა.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი.

აღებულია 144.894 ჰექტარი პურეული

15 ივლისისათვის რესპუბლიკაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 144.894 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 38,6 პროცენტით. შარშან ამავე დროისათვის აღებული იყო 85.389 ჰექტარი.

პურეულის აღება დაამთავრეს აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, წყალტუბოს, სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, ლაგოდეხის, გარდაბნის რაიონებმა.

თეთრი წყაროს რაიონში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 32,8 პროცენტით, გურჯაანის — 94,3, კაჭრეთის — 74,2, სიღნაღის — 85,3, წითელწყაროს — 78,1, თელავის — 91,3, ახმეტის — 57,7, ყვარლის — 93,7, თბილისის გარეუბნის—53,8, მცხეთის—29,3, მარნეულის — 56,5, ბოლნისის—51,2, საგარეჯოს — 34, აფხაზეთის ასსრ-ში—87,7.

შეტეხილია 5.885.052 ზონარმეტრი თამბაქო

რესპუბლიკის მეთამბაქოოის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა თამბაქოს შეტეხა. 15 ივლისისათვის რესპუბლიკაში შეტეხილია 5.885.052 ზონარმეტრი თამბაქო. შარშან ამავე დროისათვის შეტეხილი იყო 4.729.894 ზონარმეტრი თამბაქო.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხილია 1.384.945 ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის — 1.299.461, აფხაზეთის ასსრ-ში — 2.600.200, ხოლო აჭარის ასსრ-ში — 600.446 ზონარმეტრი თამბაქო.

ნათესების დამუშავება

სიმინდის მეორე თოხნის რესპუბლიკური გეგმა 15 ივლისისათვის შესრულებულია 66,2 პროცენტით. გათოხნილია 180.084 ჰექტარი. შარშან ამავე დროისათვის გათოხნილი იყო 163.346 ჰექტარი.

სიმინდის მეორე თოხნის გეგმა მთლიანად შეასრულეს ქარელის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წითელწყაროს, ბოლნისის, დმანისისა და საჩხერის რაიონებმა.

სიმინდის მეორე თოხნაში წინ მიდიან: ხაშურის, გორის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, ვანის, ონის, ქვემო სვანეთის რაიონები.

კარტოფილი მეორედ გათოხნილია 15.918 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 84,1 პროცენტით. შარშან ამავე დროისათვის კარტოფილის მეორე თოხნის დავალება შესრულებული იყო 67,4 პროცენტით. კარტოფილის მეორე თოხნის გეგმა შესრულებულია 24 რაიონში.

ბოსტნეული მეორედ გათოხნილია 8.631 ჰექტარი, გეგმის 84.8 პროცენტი. ბოსტნეულის მეორე თოხნა დაამთავრეს ახალციხის, ასპინძის, ქარელის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თიანეთის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, ბოლნისის, დმანისის, აბაშის, ცხაკაიას, ქუთაისის, ვანის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის რაიონებმა.

მზესუმზირას მეორე თოხნის გეგმა შესრულებულია 63 პროცენტით, გათოხნილია 11.324 ჰექტარი. თეთრი წყაროს რაიონმა დაამთავრა მზესუმზირას მეორე თოხნა.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

კუიბიშევის ოლქის გეორგიევსკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

კიროვის ოლქის არბაჟის რაიონის № 144 საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სადგურ სალსკის № 9 სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

სტავროპოლის მხარის ტურკმენსკის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ნოვგოროდის ოლქის დრეგელის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

კიროვის ოლქის ომუტნინსკის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

დონის როსტოვის კბილის სამკურნალო სკოლის სტუდენტებმა და მასწავლებელთა შემადგენლობამ;

ოდესის ოლქის ბალტის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როვნოს ოლქის კოზინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

სამხრეთ ყაზახეთის ოლქის თურქესტანის რაიონის მშრომელებმა;

ტიუმენის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ნოვო-ზაიმსკის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომმა;

მოლდავეთის სსრ ატაკის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის ნევერკინის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ვალკოვის სამკერვალო ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის ობლივსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინის ოლქის სენკევიჩის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

საქართველოს სსრ ქ. ტყიბულის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ხარკოვის ოლქის ოლხოვატკის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

ყიზილ-ორდის ოლქის არალსკის რაიონის მშრომელებმა;

კიშინიოვის რკინიგზის სადგურ უნგენის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩულიმის რაიონის პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა;

ლატვიის სსრ ელგავის ტყავის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ლადოჟსკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 12 წლისთავის" წევრებმა;

ორჯონიკიძის რკინიგზის სადგურ მინერალნიე ვოდის ლენინის სახელობის № 3 სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

ალტაის მხარის კულუნდინის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. კუიბიშევის № 28 დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის დნეპროპეტროვსკის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

სარატოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ატკარის რაიონულმა საბჭომ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ნიუქსენის რაიკომმა და ვოლოგდის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ტამბოვის ოლქის ლანის რაიონის კოლმეურნეობა „13 ოქტომბრის" წევრებმა;

ალტაის მხარის ქ. ბარნაულის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა;

კალუგის ოლქის კუიბიშევის რაიონის მოკროვის კავშირგაბმულობის კანტორის მეკავშირეებმა;

ვოლოგდის ოლქის პრიშეკსნის რაიონის მშრომელებმა;

კუიბიშევის ოლქის სერგიევსკის რაიონის ელშანსკის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კოლექტივმა და აღმზრდელებმა;

ჩრდილოეთის რკინიგზის სადგურ ვოლოგდის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელთა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის ზიმოვნიკის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

კურსკის ოლქის [illegible] მასწავლებელთა [illegible] და მოსწავლეებმა;

კუიბიშევის [illegible] ნიზაციის [illegible] მუშაკებმა;

ამურის ოლქის სვობოდნის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

მოლდავეთის ალკკ ვერტიუჟენის რაიკომმა;

მოლდავეთის სსრ რასპოპენის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

ლატვიის სსრ ქ. დაუგავპილსის მე-6 შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეთა კოლექტივმა და მასწავლებლებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომმა და კრასნოდარის მხარის მშრომელთა დეპუტატების პაშკოვსკის რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ბრიანსკის ოლქის ნავლიას რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

კრასნოდარის მხარის ნოვო-კუბანსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების აპოსტოლის რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

აშხაბადის რკინიგზის სადგურ ქითაბის მუშაკთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის სახნოვშჩინის რაიონულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კიჟინგის აიმაკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

ოდესის ოლქის ქ. პერვომაისკის ჟდანოვის სახელობის მე-11 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

იზმაილის ოლქის არციზის რაიონის მშრომელებმა;

ნოვგოროდის ოლქის ოკულოვკის რაიონის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

გომელის ოლქის ქურავიჩის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვგოროდის ოლქის ქ. ბოროვიჩის და ბოროვიჩის რაიონის მშრომელებმა;

ტამბოვის ოლქის უმეტის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პამიატ კიროვას" წევრებმა;

კალუგის ოლქის იუხნოვის რაიონის მშრომელებმა;

ლვოვის ოლქის ბროდის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ვოლინის ოლქის ვლადიმირ-ვოლინის რაიონის საფინანსო საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

უფის ელექტრომექანიკური ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მუშაკებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ბელოლუცკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 17 წლის" წევრებმა;

ნოვგოროდის ოლქის ბატეცკის რაიონის მშრომელებმა;

ტამბოვის ოლქის უვაროვის რაიონის ობლოვსკის ერბო-კარაქის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

მოლოტოვის ოლქის კარაგაის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კრასნოიარსკის მხარის მშრომელთა დეპუტატების კეჟემის რაიონული საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

სახალინის ოლქის სამხრეთ სახალინის რაიონის მშრომელებმა;

ესტონეთის რკინიგზის სადგურ ტალინის [illegible] მატარებლის მუშაკთა კოლექტივმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნარის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ილიჩა" წევრებმა;

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგის ფაკულტეტის პროფესორებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, ასპირანტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის კომუნისტებმა;

პენზის ოლქის ნიკოლო-პესტრავის რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის კონსტანტინოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პუტილოვეცის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის ჟაბინკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზვეზდას" წევრებმა;

ბრესტის ოლქის ჟაბინკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი კომსომოლის" წევრებმა.

(გაგრძელება იქნება)

ბოლშევიკური საქმიანობა მუშაობაში

უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ჩვენმა პარტიამ გამოიმუშავა პარტიული და საბჭოთა მუშაკის განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც მუშაობაში ლენინურ-სტალინური სტილი აქვს. ამ სტილის თავისებურება ის არის, რომ იგი რევოლუციურ გაქანებას აერთებს ბეჯით საქმიანობასთან.

რევოლუციური გაქანება ის მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც გონებას გვიფხიზლებს, წინ მივყავართ, პერსპექტივას გვაძლევს. უიმისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა. იგი დახავსებულობის, რუტინის, კონსერვატიზმისა და აზრის უმოძრაობის საწინააღმდეგო საშუალებაა.

მაგრამ რევოლუციური გაქანება პრაქტიკულად შეიძლება ცარიელ მანილოვობად გადაგვარდეს, თუ მას ბეჯით საქმიანობასთან არ შევაერთებთ. ცარიელი ლაყბობა, უბრალო და ყოველდღიური საქმეების უგულებელყოფა ეწინააღმდეგება ლენინიზმის სულისკვეთებას.

„რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, — ამბობს ლენინი, — რაც შეიძლება მეტი უბრალო, **ყოველდღიური** საქმეები..."

„რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ხმაური, რაც შეიძლება მეტი ყურადღება სულ უბრალო, მაგრამ ცოცხალი... კომუნისტური მშენებლობის ფაქტებისადმი..."

იბრძვის რა პოლიტიკური ხმაურისა და კანცელარიული მთხზველობის წინააღმდეგ, ჩვენი პარტია ამასთან ერთად მტკიცედ სპობს ვიწრო პრაქტიციზმისა და უპრინციპო საქმოსნობის ყოველგვარ გამოვლინებას მუშაობაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის **„შევაერთოთ მთელ ჩვენს მუშაობაში მძლავრი რევოლუციური აღტაცება ბოლშევიკურ მშენებელთა გულმოდგინე საქმიანობასთან".**

ეუფლებიან რა ლენინურ-სტალინურ სტილს მუშაობაში, ჩვენი პარტიული და საბჭოთა კადრები ახალ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე რევოლუციური თეორია ბოლშევიკურ საქმიანობასთან შეხამებით საშუალებას აძლევს ჩვენს კადრებს რწმენით გასწიონ წინ, გადალახონ ყველა და ყოველგვარი დაბრკოლება და ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე.

უმაღლესი ღირსება ჩვენს ქვეყანაში ის არის, რომ იყო ახალი, მოწინავე, პროგრესული საქმის შემოქმედი, მშენებელი. არა ლამაზი სიტყვებითა და მრავლისაღმთქმელი დაპირებებით, არამედ მუშაობის შედეგებით აფასებენ საბჭოთა ადამიანები ყოველი მუშაკის ღირსებას. კადრების აღზრდისათვის წარმოებულ მთელ მუშაობაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ადამიანთა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპით.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ახლაც ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი მუშაკები, რომლებსაც ახასიათებს მთხზველობისადმი ავადმყოფური რწმენა, რომლებიც ამჯობინებენ ხელმძღვანელობის გაწევას ქაღალდებზე ხელმოწერის საშუალებით. ნაცვლად იმისა, რომ მთელი თავისი ყურადღება მიაქციონ და მთელი ძალღონე მოახმარონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების მოწყობას, ასეთი მუშაკები თხზავენ და ხელს აწერენ სულ ახალ-ახალ გადაწყვეტილებებს.

როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, საკავშირო კ. პ. (ბ) ველიკიე ლუკის საოლქო კომიტეტი ზერელედ უწევს ხელმძღვანელობას პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, არ იცის, როგორია საქმის ფაქტიური მდგომარეობა პარტიულ ორგანიზაციებში, ყოველდღიური საქმიანი დახმარების ნაცვლად დიდი რაოდენობით უგზავნის მათ დირექტივებს, რომელთა შესრულების შემოწმებაც არ ხდება. ხელმძღვანელ პოსტებზე საოლქო კომიტეტს არაერთხელ წამოუყენებია ისეთი ადამიანები, რომლებიც უვარგისი იყვნენ პოლიტიკურად და საქმიანობის მხრივ. საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს არ შეუქმნიათ საჭირო დაძაბულობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, არ გამოუჩენიათ მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრებისადმი და ბოლშევიკური სიმტკიცე ოლქის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში. პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა საოლქო ორგანიზაციებში დაბალ დონეზე აღმოჩნდა, ზოგიერთი საოლქო და რაიონული მუშაკი ანგარიშს აღარ უწევს პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის დირექტივებს.

პარტიული კომიტეტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განუწყვეტლივ აამაღლოს ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის დონე, გაჩაღოს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, უზრუნველყოს პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამება და განამტკიცოს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. პარტიული კომიტეტი ვალდებულია გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი, სისტემატურად შეამოწმოს მათი მუშაობა, თავის დროზე გაუწიოს მათ საქმიანი დახმარება, ოპერატიულად აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, მოაწყოს ქმედითი კონტროლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების, აგრეთვე საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებისადმი. ეს მოითხოვს პარტიული კომიტეტის ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას, მის ყოველდღიურ კავშირს ადგილებთან.

„მას შემდეგ, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — **რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე".**

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა მოწოდებულია უზრუნველყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელება. ორგანიზაციული მუშაობის ყოველგვარი, ოდნავი შესუსტებაც კი გარდუვალად იწვევს იმას, რომ გადაწყვეტილება სრულდება დაგვიანებით ან სულაც შეუსრულებელი რჩება. პრაქტიკულად ისე ხდება, რომ პარტიული კომიტეტი მეტ ძალღონეს ახმარს გადაწყვეტილების მომზადებას, ვიდრე მის შესრულებას. როდესაც მუშავდება გადაწყვეტილების პროექტი ამა თუ იმ ორგანიზაციაში, პარტიული კომიტეტის მუშაკები მიემგზავრებიან ადგილზე, ეცნობიან იქ საქმის მდგომარეობას, ამუშავებენ წინადადებებს. და ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ცუდია, როდესაც ამ ორგანიზაციისადმი ინტერესი მცირდება მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება. ამავე დროს გადაწყვეტილება საქმის მხოლოდ დასაწყისია, მთავარი კი ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი შესრულება.

პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტმა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სამი გადაწყვეტილება მიიღო აურგაზის რაიონის შესახებ. გადაწყვეტილების მიღების წინ რაიონში გაემგზავრნენ საოლქო კომიტეტის მუშაკები. მაგრამ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ საოლქო კომიტეტი არც კი დაინტერესებულა იმით, თუ როგორ აითვისეს ეს გადაწყვეტილებანი რაიონში, რა ღონისძიებებია საჭირო მათი წარმატებით განხორციელებისათვის, როგორ არის განაწილებული რაიონული პარტიული ორგანიზაციის ძალები, როგორ აწარმოებს თავისი მუშაობის გარდაქმნას პარტიის რაიკომი. უფრო მეტიც, თავისი რეზოლუციების ძალისადმი გადაჭარბებული რწმენის გამო საოლქო კომიტეტმა შეასუსტა ყურადღება და დახმარება ჩამორჩენილი რაიონისადმი.

— გადაწყვეტილებათა მიღებამდე,— ამბობს პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ვასილიევი, — საოლქო კომიტეტს უფრო მეტად აინტერესებდა პარტიული ორგანიზაციის ცხოვრება, მისი მუშაკები უფრო ხშირად დადიოდნენ რაიონში. ახლა იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა საოლქო კომიტეტის მუშაკები რაიონში ჩადიან, მათ ნაკლებად აინტერესებთ თავიანთი გადაწყვეტილებათა ბედი.

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ერთეული როდია, ისინი ზოგიერთ სხვა ოლქშიც გვხვდება. მაგალითად, პარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მოიწონა სატრაქტორო ქარხნის სტახანოველის ამხ. გრიგორიევას ინიციატივა, რომელმაც წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ახლებურად მოეწყოთ მარაგგანამზადისა და დეტალების აღრიცხვა და გატარება მექანიკურ საამქროებში. საქალაქო კომიტეტმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს გულდასმით შეესწავლათ და ფართოდ დაენერგათ სტახანოველი ქალის თაოსნობა. მაგრამ, როგორც კი მიიღო გადაწყვეტილება, საქალაქო კომიტეტმა არსებითად დაივიწყა იგი. ამხ. გრიგორიევას ძვირფასი ინიციატივა ვერ ეღირსა გავრცელებას ქალაქის საწარმოებში.

პარტია გვასწავლის განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ მუშაობის სტილი და მეთოდები, განვამტკიცოთ კავშირი მასებთან, ღრმად ჩავუკვირდეთ ცხოვრებას, ცოდნით ვუხელმძღვანელოთ საქმეს, ავამაღლოთ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის დონე.

პარტიული მუშაობის დონის ამაღლებისათვის, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მძლავრ იარაღს წარმოადგენს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა საშუალებას იძლევა დროზე გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ვამხილოთ ბიუროკრატები და მოლაყბენი, რომლებიც ცდილობენ ბეჯითი საქმიანობა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისას შეცვალონ დაუსრულებელი სხდომებითა და კანცელარიული ქაღალდების თხზვით. კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის, მათთვის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნების სწავლების ნაცადი მეთოდია.

საჭიროა შევიგნოთ, ამბობს ამხანაგი სტალინი, რომ ჩვენი პარტიულ-საბჭოთა, სამეურნეო და ყოველგვარი სხვა ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ძალა და ავტორიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა. და სწორედ იმიტომ, რომ მათი ძალა და ავტორიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა, — მათს მუშაობაზე ახლა დამოკიდებულია ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი.

ლენინურ-სტალინური სტილი მუშაობაში, მძლავრი რევოლუციური აღფრთოვანების შეერთება ბოლშევიკ მშენებელთა ბეჯით საქმიანობასთან კომუნიზმის აშენებისათვის წარმატებითი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

„პრავდის" 17-VII მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავშიც სტალინგრადულად

ბლუმინგის საამქროში იგლინება ფოლადი. ოთხტონანახევრიანი გავარვარებული ფოლადის სხმული მბრუნავი როლგანგების დახმარებით უახლოვდება საგლინავ დაზგას. უზარმაზარი ლითონის სახაზავები მიმართულებას უცვლიან მას დამჭერი ლილვებისაკენ, რომელთა შორის სხმული რამდენჯერმე გადის და გამოდის, გვერდს იცვლის. ლითონის ცეცხლოვანი ზეფები იფანტება ირგვლივ. ფოლადის მასას ფორმა ეცვლება, რეზინივით იწელება და საკმაოდ გრძელ, ოთხკუთხოვან ზოდად იქცევა, რაც შემდგომ მძლავრი მაკრატლის დაზგასთან საჭირო ზომის ბლუმსებად იჭრება.

ბლუმინგში პირველად მოსულისათვის ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ფოლადის გაგლინვის მთელ რთულ პროცესს ძირითადად მხოლოდ ორი ოპერატორი უძღვება. რა დიდი გამოცდილება, ხელის სიმარდე, გონებამახვილობა, ყურადღება, სიზუსტის დაცვაა საჭირო ოპერატორებისათვის, რომ ეს რთული მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და აპარატები შეთანხმებულად მოქმედონ!

ბლუმინგის საამქროში რომ იკითხოთ, რომელია საუკეთესო ოპერატორიო, ყველა დაასახელებს უფროს ოპერატორ ილია მეტრეველს და მეორე ოპერატორ არჩილ გზირიშვილს.

როგორც თანატოლები, ისინი ბავშვობიდანვე ერთად იზრდებოდნენ. მეგობრულ ი. მეტრეველისა და ა. გზირიშვილის ნამდვილი მეგობრობა დაიწყო სტალინგრადის „წითელი ოქტომბრის" მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც ისინი ჯერ კიდევ 1944 წელს თელავიდან ბლუმინგის ოპერატორის სპეციალობის დასაუფლებლად წავიდნენ. გმირი ქალაქის მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციამ მამობრიური მზრუნველობა გამოიჩინა ქართველი ახალგაზრდებისადმი. ისინი მოწაფედ მიამაგრეს საუკეთესო უფროს ოპერატორს პროკოფი ტრომინს. ენერგიული ახალგაზრდები საქმის სირთულემ ვერ შეაშინა. ერთ წელიწადში ისინი ისე დაეუფლნენ ოპერატორის პროფესიას, რომ ამავე ქარხანაში უკვე დამოუკიდებლად დაიწყეს მუშაობა — მეტრეველმა უფროს ოპერატორად, გზირიშვილმა კი მეორე ოპერატორად. პირველი დღეებიდანვე მათ გადაჭარბებით დაიწყეს გეგმის შესრულება. მალე მათი გვარები ქარხნის საპატიო წიგნში ჩაიწერა, ხოლო საპატიო დაფაზე მოწინავე სტალინგრადელი მგლინავების ფოტოსურათებს შორის ორი ქართველი მეტალურგის სურათიც გამოჩნდა.

ახალგაზრდებმა მალე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თავიანთი მასწავლებელი პროკოფი ტრომინი, რომელიც ყოველდღიურად 160 პროცენტით ასრულებდა გეგმას. ეს იყო ძალზე გაბედული ნაბიჯი, და ახალგაზრდები მთელი შესაძლებლობით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. მეტრეველისა და გზირიშვილის პროცენტულმა მაჩვენებელმა 170-ს გადააჭარბა. ტრომინი სიხარულით შეხვდა ახალგაზრდა სპეციალისტების გამარჯვებას. მისი გამარჯვებაც იყო, როგორც მასწავლებლისა. გაზეთ „სტალინგრადსკაია პრავდაში" გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „მოწაფემ გაუსწრო მასწავლებელს".

თავიანთი ნაყოფიერი მუშაობის ამ პერიოდს მეტრეველმა და გზირიშვილმა მუშაობის სტალინგრადული პერიოდი უწოდეს და პირობა დადეს გმირ ქალაქში აღებული ტემპი არასოდეს შეენელებინათ.

ახალგაზრდები მოუთმენლად ელოდნენ საქართველოში დაბრუნებას, სადაც ეგულებოდათ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი საბჭოთა ბლუმინგი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი. გულით უნდოდათ თავიანთი ოსტატობა აქაც ეჩვენებინათ თანამემამულეებისათვის. და აი, დადგა საქართველოსაკენ გამომგზავრების სანატრელი დროც. სტალინგრადის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს უფროსმა ვიქტორ ლასენკომ, ცვლის უფროსმა ალექსანდრე ლიპილკინმა, უფროსმა ოსტატმა ალექსანდრე კუსმარცოვმა და პროკოფი ტრომინმა გამომშვიდობებისას თავიანთ მოწაფეებს უთხრეს:

— აბა, თქვენ იცით, როგორ გვასახელებთ, იცოდეთ, რუსთავშიც სტალინგრადულად უნდა იმუშაოთ!

მასწავლებლებისათვის მიცემული პირობა მეტრეველმა და გზირიშვილმა პირნათლად შეასრულეს. რუსთავში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე მათ სტალინგრადული ტემპით დაიწყეს მუშაობა. ისინი რიტმული, შეთანხმებული მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევიან. საგეგმო დავალებათა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მათი გამოშვებული ნაგლინი მაღალი ხარისხითაც გამოირჩევა.

ისინი ხშირად სწერენ სტალინგრადელ მასწავლებლებს თავიანთ მიღწევებზე, ატყობინებენ მათ, თუ როგორ სწრაფად იზრდება და მშვენიერდება მეტალურგების ქალაქი — რუსთავი. სტალინგრადიდანაც ხშირად მოდის წერილები. მასწავლებლები თავიანთი მუშაობის ახალ მეთოდებს აცნობენ ახალგაზრდებს.

აი ამას წინათ სტალინგრადში გაგზავნილი ბარათის შინაარსიც:

„ძვირფასო მეგობრებო და მასწავლებლებო! ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს გამოგიწვიოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვინ უფრო მეტ მაღალხარისხოვან ნაგლინს მისცემს კომუნიზმის დიად მშენებლობებს, ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ ცვლაში არასოდეს არ გამოვუშვებთ ნორმანახევარზე ნაკლებ მაღალხარისხოვან ნაგლინს და ვიბრძოლებთ დღიური ნორმის 180 პროცენტით შესრულებისათვის".

სტალინგრადელმა მასწავლებლებმა სიხარულით მიიღეს თავიანთი მოწაფეების გამოწვევა.

* * *

შეთანხმებულად, რიტმულად მოძრაობენ ათასგვარი მანქანები, მექანიზმები და ავტომატები. მბრუნავ როლგანგებზე მოგორავს მაღალხარისხოვანი ფოლადის ნაგლინი.

მთავარი ვახტის წინ, ზემოთ, მოზრდილი, გამჭვირვალე ვარსკვლავი წითლად ენთება. ეს იმის ნიშანია, რომ კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელშიც მეტრეველი და გზირიშვილი მუშაობენ, საგეგმო დავალება უკვე გაანაღდა. მაგრამ მარტო ეს ხომ არ იყო ოპერატორების მიზანი. სამუშაო საათების დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი. უფრო ენერგიულად, სტალინგრადულად განაგრძობენ ისინი შრომას.

სამუშაო დრო იწურებოდა...

პროცენტების მაჩვენებელ დაფაზე აღინიშნა ციფრი — 180.

რუსთავშიც სტალინგრადული ტემპით მუშაობენ ახალგაზრდა ქართველი მეფოლადეები.

გ. გელაშვილი

დროულად მოვამზადოთ ნიადაგი ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად

ჩაისა და ციტრუსების ნარგავთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და მაღალი მოსავლის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის წინასწარ დროულად და კარგად მომზადებას.

ჩაის ბუჩქი მრავალწლიანი მერქნიანი მცენარეა. მისი ფესვები ღრმად მიდის ნიადაგში. ამიტომ ჩაისათვის ნიადაგი 45 სანტიმეტრ სიღრმეზე უნდა დამუშავდეს. ასევე უნდა დამუშავდეს ნიადაგი ციტრუსოვანი კულტურებისათვის. ციტრუსების ახალი პლანტაციის გაშენებამდე 1-2 წლით ადრე საჭიროა ნიადაგის მთლიანი დამუშავება (პლანტაჟი) 45 სანტიმეტრის სიღრმეზე. ამ დროს ნიადაგში თვითეულ ჰექტარზე უნდა შევიტანოთ ნახევარი ტონა ფოსფორი სუფთა სახით, ხოლო შემდეგ დავთესოთ სიდერატები ნიადაგის ფიზიკურ თვისებათა გასაუმჯობესებლად და მისი ნაყოფიერების ასამაღლებლად.

ჰაერის, ტენისა და სითბოს ნორმალური თანაფარდობა ნიადაგში, რაც მისი ღრმა დამუშავების შედეგად იქმნება, დიდად უწყობს ხელს მიკროორგანიზმების განვითარებას და მათი მოქმედების გაძლიერებას, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ხელს უწყობს მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. კარგად მომზადებულ ფართობზე გაშენებულ მცენარეს უკეთ შეუძლია ებრძოლოს გვალვას, ყინვას და ყოველგვარ სხვა უამინდობას. ამასთანავე ღრმად მოხვნის დროს ისპობა სარეველა მცენარეები, სარეველის თესლი ისე იმარხება მიწის სქელი ფენით, რომ იგი შემდეგ ვერ ახერხებს გაღივებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩაისა და ციტრუსების ფესვთა სისტემის ნორმალურ განვითარებაზე დამოკიდებულია მცენარის მიწისზედა ნაწილის ზრდა და, რაც მთავარია, მოსავლის ხარისხი და რაოდენობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების დროს ნიადაგის ღრმად დამუშავების აუცილებლობა.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ჩაისა და ციტრუსების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან მოწინავე ტექნიკით, მინერალური სასუქებით, შესანიშნავი კადრებით და სხვ. ყოველწლიურად იზრდება მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რომ უახლოეს დროში არა მარტო აღვადგინოთ ყინვისაგან დაზიანებული ციტრუსოვანთა პლანტაციები, არამედ კიდევ უფრო მეტიც გავაშენოთ.

1952 წელს ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების ბედი ახლა წყდება. ამ წლის ბოლომდე რესპუბლიკაში ციტრუსებისათვის უნდა მომზადდეს 4.700 ჰექტარი ნიადაგი, ხოლო ჩაისათვის—5.428 ჰექტარი. უნდა ითქვას, რომ ამ სამუშაოთა შესრულების ტემპი არადამაკმაყოფილებელია. 1 ივლისისათვის ციტრუსებისათვის მომზადებული იყო მხოლოდ 1.177 ჰექტარი ნიადაგი, (გეგმის 25 პროცენტი), ხოლო ჩაისათვის — 2.164,9 ჰექტარი. ნიადაგის მომზადებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ აჭარის ასს რესპუბლიკა, წყალტუბოს, ცხაკაიას და სხვა რაიონები. გეგეჭკორის, ზესტაფონის, ხობის, ჩოხატაურის, ტყიბულისა და ჭიათურის რაიონებს ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში თითქმის არც ერთი ჰექტარი ნიადაგი არ მოუმზადებიათ.

ცხაკაიას მტს-მა ჩაისა და ციტრუსებისათვის გეგმით უნდა მოამზადოს 368 ჰექტარი ნიადაგი; მომზადებული აქვს მხოლოდ 80 ჰექტარი. ნიადაგის მომზადების სამუშაოებს უპასუხისმგებლოდ ეკიდება ზუგდიდის მტს-ის ხელმძღვანელობა. აქ ციტრუსებისათვის უნდა მოემზადებინათ 166 ჰექტარი, მაგრამ ეს სამუშაო ჯერ კიდევ დაწყებული არ არის.

ჩაისა და ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადება წლის ბოლომდე რომ დამთავრდეს, ამისათვის საჭიროა რესპუბლიკაში ყოველდღიურად მომზადდეს ნიადაგი 40-45 ჰექტარზე, ფაქტიურად კი მზადდება გაცილებით ნაკლები. ეს საფრთხეს უქმნის ნიადაგის დაწესებულ ვადებში მომზადებას. იმედის დამყარება მარტო იმაზე, რომ სამუშაოთა მეტი ნაწილი შემოდგომაზე იქნება შესრულებული, სწორი არ არის. აუცილებელია ამჟამად არსებული ხელსაყრელი პირობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ ტრაქტორით ნიადაგის დასამუშავებლად.

რით უნდა აიხსნას ჩამორჩენა ნიადაგის მომზადებაში? მხოლოდ იმით, რომ რაიასაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეები, მტს-ების დირექტორები, სპეციალისტები, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს, ჩაისა და ციტრუსების სამმართველოები, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველოს მუშაკები სათანადოდ არ აფასებენ ნიადაგის დროულად მომზადების მნიშვნელობას და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ჩაისა და ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის დამუშავების სიღრმეს, ფოსფოროვანი სასუქების შეტანას და მათ სწორად განაწილებას ფართობზე, ძირკვების, ფესურების და ნარჩენების გატანას ფართობიდან, ფერდობების სწორად დაგეგმვას, წყალამრიდი და წყალშემკრები ტერასების მოწყობას. არ უნდა განმეორდეს გასული წლის შეცდომები, როცა ზოგიერთ რაიონში (მაგალითად, წულუკიძის რაიონი) ჩაის თესავდნენ ფესურებისაგან გაუწმენდავ და სადრენაჟო არხებით მოუწყობელ ფართობებზე. საჭიროა თესვა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნიადაგი მზად იქნება აგროწესების მიხედვით.

კოლმეურნეობების, მტს-ების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა გამოასწორონ ჩამორჩენა, მთელი ძალით იბრძოლონ ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებელი ნიადაგის დროულად და მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

გ. გოლეთიანი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

დ. ფაილოძე
აგრონომი

გამოფენა — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს"

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში თემაზე „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს" მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის საშუალო სკოლების 8.000 მოსწავლემ. მოსწავლეებმა დაამზადეს თვალსაჩინო ხელსაწყოები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკასა და სხვა საგნებში, აგრეთვე თვითნაკეთი მოქმედი და მოძრავი მოდელები.

ნორჩ ტექნიკოსთა მიერ დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოების საქალაქო და სარაიონო გამოფენებზე არჩეული საუკეთესო ნაკეთობანი წარმოდგენილია ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც მოწყობილია თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის შენობაში.

გამოფენას დათმობილი აქვს 5 დარბაზი, სადაც წარმოდგენილია 600-მდე ექსპონატი სხვადასხვა თემაზე.

ფიზიკის განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს ნიუტონის მესამე კანონის სადემონსტრაციო მოდელი (ავტორი—რეკიტიანის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე მუხიგულიშვილი). მოდელი ასეთი სახისაა: მოწყობილია წრისებრი, ცენტრის გარშემო მოძრავი ლიანდაგი, მასზე დგას პატარა ვაგონი. დენის ჩართვისას ვაგონი იწყებს მოძრაობას. ამასთანავე საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს ლიანდაგიც. დროთა განმავლობაში ვაგონი ერთ ადგილზე გაჩერდება, ხოლო ლიანდაგი ვაგონის თვლების საშუალებით ბრუნავს ცენტრის გარშემო. ეს ხელსაწყო საუკეთესო საშუალებაა ნიუტონის ფორმულის თვალსაჩინოებისათვის სკოლებში, იგი მოსწავლეთათვის გასაგებს ხდის კანონს: „ქმედობა იწვევს უკუქმედობას".

ასევე საინტერესოა თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლის ნათელა ოდიშვილის მიერ დამზადებული ჰიდრავლიკური წნეხის მოდელი. ამ მოდელის ღირსება ის არის, რომ წნეხში ყველა დეტალის მოძრაობა გარედან ჩანს. ეს კი მოსწავლეებს გაუადვილებს პრაქტიკული დავალებები მოახდინონ ჰიდრავლიკური წნეხის შესწავლისას.

რადიოტექნიკის განყოფილებაში დიდ ინტერესს იწვევს ულტრამოკლეტალღიანი რადიოგადამცემის მოქმედი მოდელი (დამზადებულია თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლეების ა. ჩოდრიშვილის, ი. კერტაშვილის და გ. ჯიბლაძის მიერ). ამ აპარატით შეიძლება გადაცემა 6 კილომეტრზე, აგრეთვე რადიოთი სამოძრავებელი გემების მოდელთა მართვა. ამ რადიოგადამცემს ესაჭიროება მისი შესაფერისი რადიომიმღები, რომელიც დაიდგმება გემის მოდელში, რათა მიიღოს რადიოგადამცემისაგან „ბრძანებები" და მექანიკურად ამოძრავდეს გემის მოდელის მოტორი. ასეთი რადიომიმღები შექმნეს თბილისის ვაჟთა მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლე ა. რუსანოვმა, ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ა. ხუტაშვილმა და ვ. ოვანესოვმა.

საყურადღებო ნამუშევარია ზუგდიდის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში მოსწავლეების ბ. ჩანიბაიას, ვ. კვიტანძის, ვ. დავითაიასა და ო. ბუკიას მიერ დამზადებული რადიომიმღებისა და რადიოგადამცემების სქემები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეთათვის თვალსაჩინოდ იქნას წარმოდგენილი ამ აპარატების [illegible] და მუშაობის პრინციპი.

საინტერესო გამოგონებაა მოსწავლე ა. პაპიაშვილის მიერ დამზადებული რადიოაპარატი სმენადაკარგულთათვის. ამ აპარატით შეიძლება ყოველგვარი გადაცემა მოისმინოს სრულიად სმენადაკარგულმა ადამიანმა (თუ ეს დეფექტი თანდაყოლილი არ არის). სმენადაკარგული ადამიანი პატარა ფირფიტას, რომელიც შეერთებულია რადიომიმღებთან, მიიდებს ცხვირის ძვალზე ან შუბლზე, რის შედეგადაც თავისუფლად ისმენს გადაცემას.

ყურადღებას იპყრობს მოსწავლე გ. გოგილაშვილის მიერ დამზადებული ვარდნილი სხეულის სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყო. ასევე კარგია ბათუმელი მოსწავლის ა. ბაღათურიას მიერ გაკეთებული ქლორის დამამზადებელი ხელსაწყო. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეების ლ. გიორგობიანისა და ლ. გაბუნიას მიერ დამზადებული ქლორის, ბრომისა და იოდის დამამზადებელი ხელსაწყო.

გაზების მისაღები ხელსაწყოები, რომლებიც დამზადებულია ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში მოსწავლეების თ. ხმელნიცკაიასა და 6 საბაშვილის მიერ, გამოირჩევა სიმარტივით და პრაქტიკულად ადვილი გამოსაყენებლობით სკოლებში.

საყურადღებო გამოგონებაა მარილმჟავას მისაღები ქარხნის მოქმედი მოდელი, იგი დამზადებულია მოსწავლე დ. მაისაშვილის მიერ. საინტერესოა აგრეთვე მოდელი, რომელიც დამზადებულია ბათუმელი მოსწავლის რ. ხაჯოშვილის მიერ.

დიდ ინტერესს იწვევს თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეების ლ. ბუდუკიძისა და მ. დავლიანიძის მიერ დამზადებული ხელსაწყო, რომლითაც შეიძლება სხვადასხვა სახის ხსნარების ელექტროგამტარიანობის გაგება. იგი საყურადღებო გამოგონებაა სკოლებში პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად.

ქიმიის განყოფილებაში კარგი ნამუშევარია ელექტრონის საშუალებით ტუტეს მისაღები ხელსაწყო, დამზადებული სოხუმის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლის ლ. სევრიუგოვის მიერ.

ცალკე ოთახი აქვს დათმობილი სხვადასხვა სახის გემების მოდელებს. აქ ყურადღებას იპყრობს ბათუმელი მოსწავლის ვ. კაზაკის მიერ დამზადებული გემის მოდელი, რომელიც ელექტრომოტორით მოძრაობს. ასევე საინტერესოა ქალაქ ზესტაფონის კულტურისა და დასვენების პარკის მოდელი, დამზადებული მოსწავლე რ. ლავთაძის მიერ.

საუკეთესო ნაკეთობაა ფოთის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეების ა. გრიგოლიას და გ. საჯაიას მიერ დამზადებული მოქმედი მოდელი — ელექტროფიცირებული რკინიგზა. ასევე კარგია ამავე მოსწავლეების მიერ შესრულებული მიწისმწოვი მანქანის მოქმედი მოდელი.

გამოფენა „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს" მნიშვნელოვანი მოვლენაა მოსწავლეთა ცხოვრებაში.

გ. ჩიქვინიძე

ძირეული პროფორგანოების მუშაკთა მომზადება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქ მახარაძესა და სამტრედიაში მოაწყოს საკავშირთაშორისი ათდღიანი სემინარი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების მოსამზადებლად. მსმენელები იმეცადინებენ 38 აკადემიურ საათს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. თვითეული სემინარი განსაზღვრულია 40 მსმენელისათვის.

სემინარის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-მასობრივ განყოფილებას.

ამერიკელი ჟურნალისტი საბჭოთა კავშირის შესახებ

„კრემლში სრული სიმშვიდეა" — ასე უწოდა თავის უკანასკნელ წიგნს, რომელიც ნიუ-იორკში გამოვიდა 1951 წლის დამდეგს, პროგრესულმა ამერიკელმა მოღვაწემ და ჟურნალისტმა ჯორჯ მარიონმა, ავტორმა საბჭოთა მკითხველისათვის ორი ცნობილი წიგნისა „ბაზები და იმპერია" და „სამსჯავრო ფოლი-სკვერზე", რომლებშიც იგი ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ მმართველთა საგარეო პოლიტიკის იმპერიალისტურ ხასიათსა და ანტისაბჭოთა მიმართულებას, მათი საშინაო პოლიტიკის რეაქციულ არსს.

ჯორჯ მარიონს სურდა საკუთარი თვალით ენახა დიადი მშენებლობა საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, მათი ცხოვრება და ეამბნა ამის შესახებ ამერიკის უბრალო ადამიანებისათვის. მან შარშან ინახულა საბჭოთა კავშირი და, კერძოდ, საბჭოთა საქართველო, სადაც თითქმის ოთხი თვის განმავლობაში სწავლობდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, ესაუბრებოდა ასობით საბჭოთა ადამიანს.

„მე შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმაზე,—წერს მარიონი, — რაც ვნახე, ხოლო მე არაფერი მინახავს ისეთი, რაც ოდნავ მაინც მოგვაგონებდეს იმ საბჭოთა სამყაროს, რომელსაც ჩვენი გაზეთები, რადიო, ორატორები და ჰოლივუდის კინოფილმები გვიხატავენ. მე ვნახე მხოლოდ განსაცვიფრებლად შეუპოვარი ხალხი, რომელიც ისეთ შესანიშნავ საქმეებს აკეთებს, როგორიც წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში".

მარიონი წერს, რომ ამერიკელებს ათეული წლის მანძილზე დღედაღამ ჩასჩინებენ, რუსები არიან დამნაშავენი იმაში, რომ ამერიკელები მუდამ საალარმო მდგომარეობაში ცხოვრობენო. ასეა კი? კითხულობს იგი.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებიდან და შრომიდან აღებული მრავალი ფაქტის ანალიზის საფუძველზე მარიონი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირში არავის ამზადებენ ომისათვის... აიღეთ, მაგალითად, სტალინგრადელები. როცა ისინი ჩქარობენ ხელი მოაწერონ სტოკჰოლმის მოწოდებას, ვერასოდეს ვერ დამარწმუნებთ, რომ ყოველივე ეს „პროპაგანდისტული ოინებია". ამით ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მართლაც სურთ მშვიდობა".

მარიონი უამბობს ამერიკელ მკითხველებს სოციალისტური შრომის გმირების შესახებ, შრომისადმი საბჭოთა ადამიანების ახალი, სოციალისტური დამოკიდებულების შესახებ. იგი ამხილებს ამერიკის პროპაგანდის სიცრუესა და ცილისწამებას, რომელიც სტახანოვურ მოძრაობას სახავს, როგორც „ქანცგამოსალევ სისტემას".

ლაპარაკობს რა სტალინგრადელ ჰაბუკზე, ჩქაროსანზე, მის ინტელექტუალურ მრავალმხრივობაზე, სრულ სულიერ კმაყოფილებაზე, რასაც იგი თავისი მუშაობით განიცდის, და ადარებს რა მის მდგომარეობას ამერიკელი მუშის მდგომარეობასთან, მარიონი წერს: „იგი თავის მუშაობას ისე უყურებს, როგორც არც ერთი ამერიკელი მუშა, რომელსაც მე შევხვედრივარ, არ უყურებს თავის შრომას".

წიგნის შემდეგ თავებში მარიონი უამბობს ამერიკელ მკითხველებს საბჭოთა კავშირში მეცნიერებისა და კულტურის აყვავების შესახებ. იგი წერს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების უდიდეს უპირატესობაზე, მის წარმატებებზე, ადარებს მას ამერიკის შეერთებული შტატების თეატრალური ხელოვნების სრულ დაცემას. უოლსტრიტის საქმოსნებმა თეატრალური ხელოვნება გადააქციეს მაყურებლის მორალური გახრწნის იარაღად და ბიზნესად.

„სიტყვა „თეატრი", — წერს მარიონი,—რუსეთში სულ სხვა მნიშვნელობისაა, ვიდრე ამერიკის იმ ცოტაოდენ ქალაქში, რომლებიც ხელმისაწვდომია მსახიობებისა და პიესებისათვის. როცა ჩვენ ვამბობთ „თეატრი" — ვგულისხმობთ „შენობას", რომელშიც თამაშობენ პიესებს სათანადო სეზონში. ამ შენობის მფლობელს შეუძლია უყვარდეს ან არ უყვარდეს შექსპირი, შეიძლება არასოდეს არც გაეგოს მისი სახელი; ყოველ შემთხვევაში იგი ამ შენობას ექსპლოატაციას უწევს მხოლოდ ფულის გულისათვის. იმ ადამიანებს, რომლებიც შენობას ქირაობენ, თავის მხრივ შეუძლიათ უყვარდეთ ან არ უყვარდეთ თეატრალური ხელოვნება. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს როდი განსაზღვრავს იმას, დაიდგმება თუ არა ამ შენობაში პიესები. ამას განსაზღვრავს ბიზნესი".

მარიონი აცხადებს, რომ თეატრი მასობრივი მოვლენაა საბჭოთა კავშირში. იგი წერს: „თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მე ვნახე სოხუმის თეატრის გასტროლები (თბილისის ერთ-ერთი თეატრი კი ამ დროს საპასუხო გასტროლებს მართავდა სოხუმში). სოხუმის თეატრი დგამდა, რასაკვირველია, ქართულ ენაზე პიესას „მთიელთა ბელადი", (მარიონს მხედველობაში აქვს: „ხევის ბერი გოჩა"—ვ. გ.). მე ეს პიესა ავირჩიე იმისათვის, რომ იგი მდიდარია ქართული ისტორიითა და ფოლკლორით, მაგრამ ვინანე, რომ ვერ მოვხვდი წინა სპექტაკლზე, როცა იდგმებოდა შექსპირის პიესა „ხმაური არაფრის გამო"... მე ვნახე „დაისი", მართლაც ჩინებული ოპერა, აღსავსე ქართული ფოლკლორით".

ლაპარაკობს რა საბჭოთა კინემატოგრაფიის მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე, მარიონს მაგალითად მოჰყავს ქართული კინემატოგრაფია და წერს, რომ საქართველოში „რევოლუციამდე გადაღებული იყო ერთადერთი ფილმი ქართულ ენაზე. საქართველოს დედაქალაქში სულ ორი კინოთეატრი იყო. ახლა კინოთეატრები ყველგან არის, ხოლო ქართულმა სტუდიამ გამოუშვა 175 კინოფილმი. სტალინგრადში მე ვნახე თავისებური ეპოპეა XVII საუკუნის ქართველი ეროვნული გმირის გიორგი სააკაძის შესახებ, ხოლო მეორე ქართული ფილმი, პატარა ეპიზოდების სერია, რომლებიც ასხმულია ქართული ხალხური სიმღერების ძაფზე (მარიონს მხედველობაში აქვს კინოსურათი „ჯურღაის ფარი"—ვ. გ.) მაისსა და ივნისში მიდიოდა რუსეთის ყველა დიდ კინოთეატრში. თქვენ შეიძლება ამან უფრო ნაკლებ გაგაკვირვოთ, როცა გაიგებთ, რომ საქართველო ძალიან ძველი ცივილიზაციისა და ბიბლიამდელი კულტურული ტრადიციების ქვეყანაა, მაგრამ იგივე გაკეთდა შუა აზიასა და არქტიკაში".

წიგნის ერთ-ერთ თავში ამერიკელი ჟურნალისტი აღტაცებით უამბობს მკითხველებს საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სისტემაზე, სკოლებზე, მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე და მათდამი ზრუნვაზე. კერძოდ, ლაპარაკობს რა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებზე, იმაზე, თუ როგორ არის ამ სკოლებში შეხამებული საწარმოო პრაქტიკა თეორიულ განათლებასთან, მარიონი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის ისეთი პროფესიული სკოლები, რომლებიც ახალგაზრდობას მისცემდნენ ნამდვილ პრაქტიკას ქარხანაში, ისიც ხელფასით.

მარიონი იგონებს იმას, რომ თბილისის ერთ-ერთ საპარიკმახეროში ყოფნისას მან მოისმინა გაცხოველებული კამათი იმ დროს გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე ენათმეცნიერების შესახებ გამართული დისკუსიის გამო, და წერს: „...მე მსურს შემოვიარო შეერთებული შტატები და მოვნახო ისეთი საპარიკმახერო, სადაც საუბარი იქნება ლინგვისტიკის მეცნიერებაზე!".

საქართველოში მარიონმა ნახა მთელი რიგი კულტურული დაწესებულებები, სამრეწველო საწარმოები და კოლმეურნეობები. იგი უამბობს მკითხველებს საბჭოთა საქართველოს კულტურისა და ეკონომიკის აყვავების შესახებ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგების შესახებ.

მარიონი იყო მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც დაწვრილებით გაეცნო საკოლმეურნეო წარმოებას და ესაუბრა კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებს.

ამერიკელი ჟურნალისტი ამხილებს იმ სიცრუესა და ცილისწამებას, რასაც რეაქციული პრესა ავრცელებს კოლმეურნეობების შესახებ. იგი წერს კოლმეურნეთა სოციალისტური შრომისა და შეძლებული ცხოვრების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და საკოლმეურნეო სოფლის მაღალი კულტურული დონის შესახებ, სოციალისტური შრომის გმირების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს ამ მაღალ წოდებას კოლმეურნეებმა დარეჯან ტაკიძემ, თამარ ყუფუნიამ და სხვებმა.

მარიონი წერს საქართველოში ჩაის წარმოების მაღალი ტექნიკური დონის შესახებ: „მე ვიყავი ანასეულის საცდელ ფაბრიკაში და ჩაის ინსტიტუტში, აგრეთვე რაიონის ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში (რაიონში რვა ფაბრიკაა და სამი შენდება)... ეს სავსებით თანამედროვე მრეწველობაა, რომელიც მუდამ მისწრაფის იქითკენ, რომ მანქანებით შეცვალოს ადამიანის შრომა. თუ მათ შექმნეს ულტრათანამედროვე, მეცნიერული მეჩაიეობა და ჩაის წარმოება, ეს გაკეთდა როგორც თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნად საქართველოს გადაქცევის გეგმის შემადგენელი ნაწილი".

უამბობს რა თავის მკითხველებს იმ ზრუნვის შესახებ, რასაც საბჭოთა კავშირში იჩენენ მშრომელთა ჯანმრთელობისადმი, მარიონი დაასკვნის: „ის, რაც გათვალისწინებულია ბავშვების ჯანმრთელობის დაცვისათვის — უფრო სწორად—საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისათვის დაბადებიდან სიკვდილამდე,—პირდაპირ ფანტასტიკურია".

მარიონი გაოცებით ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის უდიდეს მშვიდობისმოყვარეობასა და შრომით ენთუზიაზმზე, მის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაზე. „რუსები,—წერს იგი,—უდიდეს საქმეს აკეთებენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ შეძლებენ ამ საქმის დამთავრებას, რომ ვერაფერი ვერ შეაჩერებს მათ; ამიტომ მუშაობენ ასეთი დაძაბვითა და თავდადებით, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვერაფერი შეედრება". შემდეგ მარიონს მოჰყავს საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრის, ყველა ხალხთა ძმობისა და თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ პატივისცემისა და დახმარების დამახასიათებელი მრავალი ფაქტი და ადარებს ამას ამერიკელთა იმპერიალისტურ პოლიტიკას.

საბჭოთა სინამდვილის შესწავლამ, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის გაცნობამ ამერიკელი ჟურნალისტი დაარწმუნა იმაში, რომ „ლაპარაკი, რომელიც გვესმის იმის შესახებ, თითქოს რუსები ისწრაფვიან მსოფლიო ბატონობისაკენ, ფუჭი ყბედობაა. რუსეთში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ფაქტს, რომელიც ამტკიცებდეს ამ ლაყბობას. რუსები აკეთებენ ძალიან დიდ საქმეებს ძალიან დიდ ქვეყანაში და სრულიად არ აინტერესებთ ომი და დაპყრობა".

როგორია დასკვნები, რომელიც მარიონს გამოჰყავს თავის წიგნში?

მარიონი წიგნის დასასრულს მიმართავს ამერიკელ მკითხველებს და წერს: „თქვენ და მე, რიგითმა ამერიკელებმა, რომლებმაც ძალიან ცოტა რამ ვიცით რუსეთის შესახებ და არ გვესმის რუსული ენა, ვიმოგზაურეთ, რათა გაგვეგო, თუ რა სურთ რუსებს. ახლა ჩვენ ეს ვიცით... იმის საფუძველზე, რაც ჩვენ რუსეთში ვნახეთ, იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც პირველი წყაროებიდან შევკრიბეთ. ცხადია, რომ რუსები არ ემზადებიან შეიარაღებული გამოსვლისათვის... ვფიქრობ, დედამიწაზე არ არის არც ერთი სხვა ქვეყანა, სადაც მთავრობა და ხალხი ისე მიისწრაფოდნენ მშვიდობისაკენ, როგორც რუსეთში, და არსად სხვა ქვეყანაში მშვიდობას ისე არ მიესალმებიან, როგორც რუსეთში".

ჯორჯ მარიონი თავისი წიგნით — „კრემლში სრული სიმშვიდეა"—მიზნად ისახავს გააქარწყლოს საბჭოთა კავშირის შესახებ სიცრუისა და ცილისწამების ის ყოველდღიური ნიაღვარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, და უთხრას ამერიკელ მკითხველებს მართალი სიტყვა სოციალიზმის დიადი ქვეყნის შესახებ.

ვ. გოგუაძე

ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის

გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნოს განცხადება

ბერლინი, 14 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გერმანიასთან ომის მდგომარეობის ეგრეთწოდებული შეწყვეტის შესახებ.

„გერმანიასთან ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ განცხადება, — აღნიშნავს კომპარტიის გამგეობა,—დასავლეთის სახელმწიფოებმა იმისათვის გააკეთეს, რომ ამრიგად შექმნან უფლებრივი საფუძველი, რათა უარი თქვან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაზე და სამუდამო გახადონ საოკუპაციო რეჟიმი გერმანიაში. განცხადებამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ყურადღება აშორდეს ნამდვილ მდგომარეობას და ამრიგად მომზადებულ იქნას ფსიქოლოგიური საფუძველი ატლანტიკის სამხედრო ბლოკის ფარგლებში დასავლეთ გერმანელ დაქირავებულ ჯარისკაცთა შენაერთების შესაქმნელად. განცხადება „ომის მდგომარეობის შეწყვეტის" შესახებ მოწოდებულია დაარწმუნოს გერმანელი ხალხი, რომ მიღებულ იქნა ღონისძიება, რათა მას მიენიჭოს „თანასწორუფლებიანობა" და ამით მეორე მსოფლიო ომის ექვსი წლის შემდეგ მომზადებულ იქნას მისი მსხვერპლად შეწირვა მესამე მსოფლიო ომში ამერიკელი და გერმანელი იმპერიალისტების სამხედრო მიზნებისათვის.

ამის ნაცვლად გერმანელ ხალხს ესაჭიროება დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, აღდგენილ იქნას მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა და გაყვანილ იქნან მთელი საოკუპაციო ჯარები. მხოლოდ საზავო ხელშეკრულების დადებას, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას გერმანიიდან ერთი წლის განმავლობაში მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანა, შეუძლია დაუბრუნოს გერმანელ ხალხს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლება საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირებზე ლონდონში 1947 წელს, პარიზში — 1949 წელს და საგარეო საქმეთა მინისტრების პრაღის თათბირზე 1950 წელს წინადადებით მიმართავდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ შეემუშავებინათ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ხელშეკრულება, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ერთ წელიწადში მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანა. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეს წინადადება, რომელიც ყველა პუნქტში შეესაბამება ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა, რადგან მათ სურთ თვიანთი საოკუპაციო ჯარები დატოვონ დასავლეთ გერმანიაში და შეინარჩუნონ ოკუპაციის რეჟიმი.

პოლიტიკური ღონისძიებანი, რაც განახორციელეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა წარმომადგენლებმა დასავლეთ გერმანიაში ადენაუერმა, განსაკუთრებით რემილიტარიზაცია და შუმანის გეგმა, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ ევროპის მშვიდობისათვის და ამით ჩვენი ხალხის სიცოცხლისა და არსებობისათვის.

ჩვენი ხალხის მშვიდობა, დემოკრატია და ბედნიერი აყვავება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მხოლოდ ერთიან დამოუკიდებელ დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე გერმანიაში.

ამიტომ გერმანიის კომუნისტური პარტია მოითხოვს:

1. შეწყდეს რემილიტარიზაციის ყველა ღონისძიება, შეწყდეს ადენაუერის მოლაპარაკება გერმანიის დაქირავებული არმიის შედგენის შესახებ და ღონისძიებანი შენიღბული სამხედრო შენაერთების შესაქმნელად სასაზღვრო დაცვის, მობილური პოლიციის და სხვა სახელწოდებით;
2. უარყოფილ იქნას შუმანის გეგმა;
3. დაიწყოს მოლაპარაკება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა შორის ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენის შესახებ.
4. დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება გერმანიიდან ერთი წლის განმავლობაში მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

ეს მოთხოვნები შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებსა და ნებას. პოლიციური ღონისძიებათა მიუხედავად, დასავლეთ გერმანიაში ყოველდღე ათეულ ათასობით გერმანელი გამოკითხვის მოწყობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების თანახმად ხმას აძლევს გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ.

ხალხის გამოკითხვა განუწყვეტლივ გრძელდება და იქცევა ჩვენი ხალხის მძლავრ მანიფესტაციად მშვიდობისათვის, ჩვენი სამშობლოს ერთიანობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის".

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 16 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტის ყველა უბანზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ საბრძოლო ოპერაციებს.

ფრონტის ცალკეულ უბნებზე სახალხო არმიის ნაწილები წარმატებით იგერიებდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებისა და ლისინმანელთა არმიის იერიშებს და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ.

კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო

პეკინი, 16 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან იუწყება:

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კორეის ფრონტის შტაბიდან მიღებული ცნობებით, მე-4 სხდომა წარმომადგენლებისა, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ კორეაში დროებითი ზავის შესახებ, დაიწყო 16 ივლისს 9 საათზე კორეის დროით და დამთავრდა 12 საათსა და 50 წუთზე.

სხდომაზე გრძელდებოდა დღის წესრიგის განხილვა.

მე-5 სხდომა დანიშნულია 17 ივლისს 10 საათზე.

ამერიკელი ინტერვენტები კვლავ ანგრევენ კორეელი ხალხის ისტორიულ ძეგლებს

ფხენიანი, 16 ივლისი. (საკდესი). კორეის გაზეთები აქვეყნებენ კორეის ცენტრალურ დეპეშათა სააგენტოს ცნობას, რომ ამერიკის ავიაციამ ბარბაროსულად დაანგრია ალმასის მთების რაიონში კორეის ისტორიული ძეგლები.

როგორც მასში უკვე ვიუწყებოდით, ამერიკელმა ინტერვენტებმა აქ ააფეთქეს და დაწვეს 1.400 წლის წინათ აგებული ჩანონსის ტაძარი და კორეელი ხალხის მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები. ამას წინათ ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ალმასის მთის რაიონი, სადაც არის უძვირფასესი ისტორიული ნაგებობანი. სამი დღის განმავლობაში ამერიკელთა თვითმფრინავებმა ჩამოყარეს ათობით ბომბი, აგრეთვე საწვავსითხიანი (ნაპალმიანი) ბალონები. გარდა ამისა, მთელ ამ რაიონს გააფთრებით დაუშინეს ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ამის შედეგად დაინგრა და დაიწვა ძველი ტაძრები იუჯემსისა, რომელიც 1.870 წლის წინათ აშენდა, იხებუნსისა და სინჩესისა, რომლებიც კორეელი ხალხის ეროვნულ საგანძურს წარმოადგენენ.

ალმასის მთები კორეის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი რაიონი იყო. ამ ლამაზ ადგილას შორეულ წარსულში ააშენეს ბუდას ტაძრები. მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს ტერიტორია წმიდა ტერიტორიად ითვლებოდა. აქ ათასობით მლოცველი მოდიოდა ჩინეთიდანაც კი. კორეაში იაპონიის ბატონობის დროსაც კი არ დაუნგრევიათ ალმასის მთების ისტორიული ძეგლები.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 14 ივლისს სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც მე-9 სამხედრო რაიონში მოქმედებენ, იერიში მიიტანეს ფრანგთა ძლიერ გამაგრებულ პოზიციაზე სეო-მეში, რაიონულ ცენტრ ვინ-ჩაუს მახლობლად, სოკ-ტრანგის პროვინციაში, საიგონის სამხრეთით. იერიშის შემდეგ, რაც რამდენიმე საათს გაგრძელდა, მათ მთლიანად გაანადგურეს ეს პოზიცია, რომელიც მთავარი სიგუშაგოსა და ოთხი ბლოკჰაუზისაგან შედგებოდა. იმავე დღეს სახალხო არმიის ნაწილები წააწყდნენ მტრის მოძრავე ჯარის კოლონას. კოლონა შედგებოდა 18 ჯავშნიანი ავტომობილისა, „ჯიპებისა" და სატვირთო ავტომობილებისაგან, რომლებსაც გადაჰყავდათ ერთ ბატალიონამდე ჯარისკაცი. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში საფრანგეთის ავიაცია ჩაერია, სახალხო არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს.

მოწინააღმდეგის ცდები — არტილერიისა და ავიაციის დახმარებით დაებრუნებინა სეო-მეს პოზიციები — მარცხით დამთავრდა და ფრანგებმა დიდი ზარალი განიცადეს. ამ ბრძოლების მსვლელობაში მოკლულ იქნა მტრის 250-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპობილ იქნა 7 ჯავშნიანი მანქანა და სატვირთო ავტომობილი, წამოღებულია დიდძალი საჭურველი, საომარი მასალა, აგრეთვე მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია თეირანში

თეირანი, 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ თეირანში გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაცია 1946 წელს ხუზისტანში ყოფილი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის მიერ პროვოცირებული ხოცვა-ჟლეტის 5 წლისთავის გამო. ამ ხოცვა-ჟლეტის დროს მოკლულ იქნა 47 და დაიჭრა 170 მუშა. დემონსტრაციაში, რომელიც მოაწყო „ირანში იმპერიალისტთა ნავთის კომპანიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა საზოგადოებამ", მონაწილეობა მიიღო 100 ათასამდე მუშამ, სტუდენტმა, ხელოსანმა და თეირანისა და მისი გარეუბნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სხვა წარმომადგენლებმა.

დემონსტრანტების კოლონებმა გაიარეს ქალაქის სამი მთავარი ქუჩა და 8 საათზე მიადგნენ ბაჰარისტანის მოედანს, სადაც არის მეჯლისის შენობა. მოედანზე მიტინგი უნდა გამართულიყო. ბაჰარისტანის მოედნის წინ დემონსტრანტებს გზა გადაუღობა პოლიციამ.

ამ დროს დემონსტრაციის მონაწილეებს პროვოკაციულად დაესხნენ თავს დანებით შეიარაღებული რეაქციული ელემენტები. საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერია პოლიცია. მან გამოიყენა ცრემლსადენი გაზიანი ბომბები, შემდეგ კი სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

დემონსტრანტები გაფანტეს, და მიტინგი აღარ გამართულა.

დემონსტრაციამ ჩაიარა ლოზუნგებით: „დაუყოვნებლივ წავიდეს ჰარიმანი ირანიდან", „არ ვცნობთ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებანი", „გაიყვანონ ინგლისისა და ამერიკის სამხედრო გემები ირანის ტერიტორიული წყლებიდან და ბაჰრეინის კუნძულებიდან", „თავისუფლება პარტიებსა და პროფკავშირებს", „დიდება ხუზისტანში 1946 წელს დაღუპულ მუშებს" და სხვა ლოზუნგებით.

თეირანის ამბების გამო

თეირანი, 16 ივლისი. (საკდესი). თეირანის რადიოს დღევანდელი დილის ცნობის თანახმად, 15 ივლისს შუადღიდან თეირანსა და მის მიდამოებში მთავრობის განკარგულებით შემოღებულია სამხედრო წესი. აკრძალულია ყოველგვარი კრება და აგრეთვე ქუჩებში სიარული ღამით.

როგორც რადიო აღნიშნავს, არავითარი ოფიციალური ცნობა გუშინდელი სისხლიანი ამბების შესახებ ჯერ არ გამოქვეყნებულა.

რადიოს სიტყვით, დემონსტრანტთა შორის არის დიდი რაოდენობის დაჭრილი და მოკლული.

გაზეთ „დადის" სიტყვით, დემონსტრანტების წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ტანკები, რომლებმაც რამდენიმე კაცი გაჭყლიტეს. მოედნიდან გამოჰქონდათ და გამოჰყავდათ დაჭრილები.

პოლიციამ მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრა;

გაზეთი „კესრა", ისევე როგორც „დადი", აღნიშნავს, რომ გუშინდელი სისხლიანი ამბები დემონსტრანტებზე „ირანის" პარტიისა და „ირანის მშრომელთა პარტიის" წევრთა თავდასხმის შედეგია. სწორედ ამ თავდასხმის შემდეგ იწყო მოქმედება პოლიციამ, რომელმაც გამოიყენა ხელყუმბარები ცრემლსადენი გაზებით (ამას წინათ ჩამოტანილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან) და ცეცხლსასროლი იარაღი. შემდეგ გაიგზავნა ტანკები და საპოლიციო და სამხედრო ნაწილები, რომელთა პირადი შემადგენლობაც მახლობლად მდგომ სატვირთო მანქანებზე იყო.

გაზეთი „სეტარე" წერს, რომ მოკლულია ოცი კაცი, ხოლო ჭრილობა მიაყენეს დაახლოებით 200 კაცს.

მასობრივი მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ ლონდონში, ტრაფალგარ-სკვერში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც კომპარტიის ლონდონის საოლქო კომიტეტმა მოაწყო. მიტინგს დაესწრო 10 ათასამდე კაცი.

ეს ერთი იმ მიტინგთაგანი იყო, რომლებსაც დიდი ბრიტანეთის კომპარტია აწყობს მთელ ინგლისში იმ მიზნით, რომ პოპულარიზაცია გაუწიოს კომპარტიის პროგრამას — „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ".

მიტინგის თავმჯდომარემ — კომპარტიის ლონდონის საოლქო კომიტეტის მდივანმა ჯონ მაგონმა განაცხადა, რომ, უკანასკნელი ცნობებით, მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ უკვე ხელი მოაწერა 400 ათასმა ინგლისელმა, მათ შორის ლონდონის 138 ათასმა მცხოვრებმა.

მთავარი ორატორი იყო ჰარი პოლიტი. მისი გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპარტიის პროგრამა „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ" პასუხს იძლევა ყველა ძირითად საკითხზე, რომლებიც დასმულია ინგლისის მუშათა კლასის წინაშე.

„ინგლისი შეიძლება იქნეს თავისუფალი, ძლიერი და დამოუკიდებელი, — თქვა მან, — და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს შეუძლია ცხოვრის ეკონომიური აყვავებისა და მტკიცე მშვიდობის პირობებში".

ბრალდება, თითქოს კომპარტია ცდილობს დაანგრიოს ბრიტანეთი ან ბრიტანეთის იმპერია, ყალბი ბრალდებაა, განაცხადა შემდეგ პოლიტმა. ყალბია აგრეთვე მტკიცება, რომ კომპარტიას სურს თავს მოახვიოს ინგლისს საბჭოთა სისტემა. ინგლისს, განაგრძო მან, შეუძლია მიაღწიოს სოციალიზმს ინგლისში არსებულ პირობებზე დაფუძნებული პარლამენტური დემოკრატიის გზით. სახალხო მთავრობა, რომელიც შეიძლება შეიქმნას ინგლისში, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ განახორციელებდა მხოლოდ და მხოლოდ მთელი მსოფლიოს ხალხებთან მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობის იდეაზე დამყარებულ პოლიტიკას. „ჩვენი მთავრობის პირველი ნაბიჯი ის უნდა იქნეს, რომ იგი გამოვიდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირიდან, უარყოს ბრიუსელის სამხედრო შეთანხმება და დაუყოვნებლივ გამოიჩინოს ინიციატივა მტკიცე მშვიდობის პოლიტიკის შემუშავების მიზნით ხუთი დიდი სახელმწიფოს თათბირის მოსაწვევად".

პოლიტმა დაგმო ლეიბორისტული მთავრობა შეერთებული შტატების მთავრობის წინაშე მლიქვნელობისათვის. აძლევს რა შეერთებულ შტატებს სამხედრო ბაზებს, თქვა მან, ინგლისის მთავრობა საშიშ მდგომარეობაში აყენებს ინგლისს. ყველა ქვეყანას შორის ინგლისი ყველაზე ადვილმისადგომია ატომურ ბომბდამშენთა თავდასხმისათვის. პოლიტმა გააფრთხილა ინგლისელი ხალხი, რომ თუ მან დაუშვა თავისი ქვეყნის გამოყენება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ბაზად, ამით უწინარეს ყოვლისა ინგლისი დაზარალდება.

პოლიტმა განაცხადა, რომ ხელახალი შეიარაღების გიგანტური პროგრამა აჩანაგებს ინგლისს. მშვიდობა რომ დამყარდეს, ხოლო ამის მიღწევა შეიძლება მშვიდობის საკითხის განსახილველად ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის გზით, მაშინ უზარმაზარი თანხები, რასაც ინგლისი ომისათვის ხარჯავს, შეიძლება გამოყენებულ იქნას სამშვიდობო მიზნებისათვის.

ინგლისი, თქვა პოლიტმა, ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი გახდა. სახალხო მთავრობის დროს, რომლის შექმნას მოითხოვს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პროგრამა, ინგლისი კვლავ სავსებით დამოუკიდებელი გახდება. „სახალხო მთავრობა ინგლისში აღადგენს პარლამენტის სუვერენულ უფლებას—განაგოს ჩვენი ქვეყნის ბედი".

პოლიტმა დაგმო როგორც მოღალატური აქტი ის, რომ პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ და კონსერვატორთა ლიდერმა ჩერჩილმა ომის წლებში შეერთებულ შტატებს გადასცეს ინგლისის ატომის საიდუმლოებანი. ეტლისა და ჩერჩილის მიერ გადაცემული ინფორმაცია რომ არ ჰქონოდათ, შეერთებული შტატები ვერ შეძლებდნენ ატომური ბომბის შექმნას. ამერიკელები, განაგრძო პოლიტმა, ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამ ომში საზარბაზნე ხორცს მიაწვდიან ინგლისი, იტალია, საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მილიონობით დოლარს ხარჯავენ იტალიასა და საფრანგეთში, უკანასკნელ არჩევნებში 10 მილიონმა ფრანგმა და იტალიელმა ხმა მისცა კომუნისტებს.

პოლიტმა აღნიშნა, რომ ინგლისი ჯერ კიდევ სუსტი რგოლია მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში, და თქვა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მშვიდობის მთელი ჯაჭვი უფრო მაგარი გახდეს".

მიტინგზე გამოვიდა გაზეთ „დეილი უორკერის" რედაქტორის თანაშემწე ჯონ ჰოლანი. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკება კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეიძლება საერთაშორისო მდგომარეობის სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი გახდეს, თუ მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მოძრაობა მტკიცედ იბრძოლებს ამის მისაღწევად. კორეელი ხალხისა და ჩინელ მოხალისეთა გმირულმა წინააღმდეგობამ უზრუნველყო ასეთი შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა კორეა საშინლად დაანგრიეს, კორეელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას. მან დასძინა: „კორეელი ხალხის ამ სულისკვეთებას, რომ ვხედავთ, ჩვენ უნდა შევგრცხვეს და ისეთივე გაბედულებით დავიწყოთ ბრძოლა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, როგორც იბრძვის კორეელი ხალხი. თუ კორეაში ზარბაზნები დადუმდება, ამისათვის მთელმა მსოფლიომ მადლობა უნდა უთხრას სტალინსა და საბჭოთა კავშირს".

ჰოლანმა ამავე დროს განაცხადა, რომ ამჟამად რეაქციონერები თანდათან აღწევენ თავს იმ დაბნეულობას, რაც მათ შორის გამოიწვია მალიკის წინადადებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, და საჭირო იქნება მშვიდობის მომხრეთა აქტიური ღონისძიებანი ყველა ქვეყანაში, რათა ჩაფუშოთ ომის გამჩაღებელთა მიზნები.

მშვიდობის დამყარება, თქვა ჰოლანმა, შეცვლიდა მდგომარეობას ინგლისში. მიმდინარე წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ინგლისის კომპანიებმა მიიღეს 156 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტი მოგება, ვიდრე 1950 წლის პირველ ნახევარში. მოგება არასოდეს ისე უხვად არ იზრდება, როგორც იმ პერიოდში, როცა ქვეითდება მუშათა საარსებო დონე.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად დადეს შემდეგი აღთქმა: „ვასრულებ ვალდებულებას ხელი შევუწყო ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას საყოველთაო მშვიდობის ხსნისათვის".

ფრანკისტული ესპანეთი ამერიკის შეერთებული შტატების საომარ გეგმებში

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიების ორგანომ ჟურნალმა „ბიზნეს უიკმა" გამოაქვეყნა სტატია ფრანკისტული ესპანეთის როლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საომარ გეგმებში. ჟურნალი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფრანკოსთან ამერიკელი იმპერიალისტების კავშირი, „როგორც ჩანს, მიიღებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის ორმხრივი სამხედრო გარიგების ფორმას".

„ამრიგად, — წერს ჟურნალი, — ჩვენ მოგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის სეპარატული გარიგება ესპანეთის სტრატეგიული მდგომარეობის განმტკიცების ერთადერთი საშუალებაა". ჟურნალი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, ესპანეთმა უნდა მიიღოს „საფინანსო დახმარება".

ეგრეთწოდებულ „ოპოზიციას", რომელშიც შედიან საქმიანი და საფინანსო წრეების წარმომადგენლები, მიაჩნია, რომ შეერთებულმა შტატებმა ფრანკოს უნდა მისცენ „იმდენი მილიონი დოლარი, რამდენიც მას სჭირდება თავისი არმიის სწრაფი მოდერნიზაციისათვის", თუნდაც ატლანტიკის პაქტის არმიებისათვის გათვალისწინებული „ერთგვარი დახმარების" ხარჯზე.

პენტაგონი (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება), წერს შემდეგ ჟურნალი, იმ თვალსაზრისს ადგას, რომ ფრანკისტულ ესპანეთს „კოლოსალური სტრატეგიული პოტენციალი" მოეპოვება და პენტაგონს ესპანეთი მიაჩნია „ვეებერთელ ავიანოსად, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს გენერალ ეიზენჰაუერის არმიების დაცვა ჰაერიდან". ამიტომ „სასიცოცხლო მნიშვნელობა" აქვს გარკვეული თანხების დაბანდებას აეროდრომების, გზატკეცილებისა და რკინიგზების, ნავსადგურების ნაგებობათა და სხვ. მშენებლობისათვის.

ჟურნალი აღნიშნავს, რომ ამ ამოცანის განხორციელებას მილიარდობით დოლარი დასჭირდება და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები ერთგვარ მუშაობას განახორციელებენ აეროდრომების ასაშენებლად და ამ სამუშაოს, როგორც ჩანს, შეასრულებენ ამ ორმხრივი გარიგების მოქმედების პირველსავე წელს.

საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

კვირას, 15 ივლისს [illegible] დაიწყო მეორე საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის [illegible].

სპარტაკიადაში [illegible] ხელოსნის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ავტოსარემონტო ქარხნის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ტრიკოტაჟის კომბინატისა და დედაქალაქის სხვა საწარმოების ფიზკულტურული კოლექტივები.

სპარტაკიადის პროგრამაშია: მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, ქართული ჭიდაობა, სროლა, მაგიდის ჩოგბურთი და სხვ.

შეჯიბრების პირველ დღეს მუშა ფიზკულტურელებმა კარგი სპორტული მომზადება ცხადყვეს.

სპარტაკიადა 29 ივლისამდე გაგრძელდება.

საქართველოს თასის გათამაშება წყალბურთში

სამი დღის განმავლობაში ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში მიმდინარეობდა საქართველოს თასის გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის 8 გუნდმა.

ნახევარფინალურ მატჩებში თბილისის „ნაპერწკალმა" დაამარცხა სოხუმის „დინამო"—6:0; თბილისის „დინამოს" პირველმა გუნდმა მოუგო ბათუმის „დინამოს"—7:2.

მეტად საინტერესო იყო ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს" პირველი გუნდი და თბილისის „ნაპერწკალი". თამაში დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით—3:1.

გამარჯვებულ გუნდს საზეიმო ვითარებაში გადაეცა გარდამავალი ჯილდო—თასი.

ფეხბურთი

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოსა" და თბილისის „სპარტაკის" გუნდები.

შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ამავე დღეს ლენინგრადის „ზენიტი" თავის მოედანზე დამარცხდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდთან ანგარიშით 0:1.

ახალი წიგნი

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქ. გოგიაშვილის **„ტყის სტუმარი".** წიგნში შეტანილია ორი ზღაპარი „ტყის სტუმარი" და „მერცხალი და კოდალა", „ტყის სტუმარი" პრემირებულია 1950 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ საკავშირო საბავშვო მხატვრული ნაწარმოების კონკურსზე, ხოლო ზღაპარი „მერცხალი და კოდალა" რეკომენდებულია დასაბეჭდად იმავე კონკურსზე. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

სამშენებლო საქმის ინსტიტუტში

დღეს, 18 ივლისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ბარათაშვილის ქუჩა № 8) შედგება საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების საქალაქო პლენუმი.

მოხსენებას თემაზე: „თურქმენეთის მთავარი არხი" წაიკითხავს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ვ. წულუკიძე.

საქდესის გასწორება

გაზეთ „პრავდის" 16 ივლისის მოწინავე სტატიაში — „საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ამოცანა" — რომელიც დაბეჭდილია 17 ივლისის გაზ. „კომუნისტში", ზოლიდან მეოთხე აბზაცის პირველი წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე:

„საბჭოთა ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ, მის წინაშე ქედმოხრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში".

შემდეგ როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

19 ივლისს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — ჩაიკოვსკის ვალსები. 18.10 — სკრიაბინის საფორტეპიანო ნაწარმოებები. 18.30 — ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის პოემიდან „დიმიტრი თავდადებული". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — ტომას ოპერა „მინიონი". 24.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის — „ვერაგობა და სიყვარული" (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის**—„ცანის დედოფალი" (ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში); **სანკულტურის** —„მეგობრები".

მოქალაქე ვასილ თედორეს-ძე ბალაბანოვმა, მცხოვრებმა ჯავის მესამე შესახვევი № 12, აღძრა საქმე მონტანის ქ. № 18 მცხოვრებ მოქალაქე **ოლღა იაკობის ასულ ბალაბანოვა-შევჩენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ივანეს-ძე ლაფერაშვილმა,** მცხოვრებმა სამხედრო ქ. № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლიანა ოსიპის ასულ კუპრაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი აცხადებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთა მიღებას 1951-52 წლისათვის I კურსზე ელმაველების, ენერგომომარაგებისა და მოძრაობის ორგანიზაციის სპეციალობაზე, III კურსზე მოძრაობის ორგანიზაციის სპეციალობაზე. დაწვრილებითი ცნობები მიღების პირობების შესახებ— ტექნიკუმის კანცელარიაში, ნინოშვილის ქ. № 13. ტელეფონი 3-36-68.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა აუწყებს ყველა საწარმოს, ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა შესაკეთებლად იღებს მანქანებს: „გაზ-АА", „გაზ-51", „ზის-5" და „ზის-150-ს" სპიდომეტრებს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქ. თბილისში, ღრმაღელე, მექანიზაციის ქუჩა № 1. ავტოშემკეთებელი ქარხნის გამსაღებელი განყოფილება. ტელეფონი 3-00-61, ქვესადგური 3-00-60.

საჭიროა დურგლები, კალატოზები, მლესავები და დამხმარე მუშები. პირობებისათვის მიმართეთ: საგარეჯოს რაიონში სოფელ სართიჭალის სამგორსახლებმშენის ტრესტის კადრების განყოფილებას.

საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1951-1952 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე.

ტექნიკუმი ამზადებს ტყის საზიდი გზების მშენებლობის და ექსპლოატაციის საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსებს და სავაჯო-მექანიკური წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლის კურსისა.

განცხადებების მიღება გრძელდება 31 ივლისამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა დაბადების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, 3 ცალი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ხელზე უნდა იქონიონ პასპორტი. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართული ენა (წერა და ზეპირი), რუსული ენა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუცია.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.

ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ ოთხებზე და ხუთებზე, 1 სექტემბრიდან დაენიშნებათ სტიპენდიები. ტექნიკუმდამთავრებულებს დიპლომი მიეცემათ ხელზე.

ფრიადოსნები ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ. ტექნიკუმში სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ბაღდათის გზატკეცილი, სატყეო ტექნიკუმი.

დები ლ. გორდეზიანი, ა. კიკვიძე, ვ. დვალი, ძმები რაფიელ, შალვა, რძლები აგრაფინა, დარია, გუგული დვალები, სიძე ლ. კიკვიძე ოჯახებით იუწყებიან **ბაბილინა ხპირიდონის ასულ ფოფხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ცხაკაიას, 11

რ. შანიძე, ა. ხაჩიძე, ნ. კაკაბაძე, ნ. ჩხატარაშვილი, შ. კაკურია, ვ. კახეთელიძე, ვ. სუტჩენკო, ნ. ხუხუნი, ი. დოისამიძე, ნ. მჭედლიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ალექსანდრე და ოლია კილურაძეებს მათი შვილის **ნაზიკოს** გარდაცვალების გამო.

და სალომე, შვილები შალვა, ნინო, რძალი მარო, შვილიშვილები ჯემალ, შამილ და მანანა იუწყებიან სოფიო **გიორგის ასულ ქიაბრიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ორბელიანის შესახ., 4.

მეუღლე რებეკა, შვილები ლარისა, ვალია, მარი, ვერა, თინა, შვილიშვილი პეპელა იუწყებიან **ლუკა ნიკოლოზის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VII სოფელ ბანძაში (გეგეჭკორის რ.).

დედა მარო, ძმა სულიკო, რძალი რუსუდან კიკნაძეები, ბიძაშვილები გიორგი, კონსტანტინე აბაზაძეები ოჯახებით იუწყებიან **რუსუდან მანულის ასულ კიკნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII, 4 ს. ქ. ხაშურში.

მეუღლე ფროსა, ძმა ამბროსი, ძმისწულები ვახტანგ, ოთარ, თამარ, რძლები თინა, მარი, სიდედრი ვარდო იუწყებიან **თომა ანდრიას-ძე ჯიქიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 22-VII, 3 ს. საზოგადოების, 6.

მშობლები ელისაბედ, ივანე ჩალაგაშვილები, შვილი მერაბ, მაზლები ივანე, ვლადიმერ გელაშვილები ოჯახით, მული ოლია ტაბიძე, თამარ, ტიხონ მამალაძეები იუწყებიან **ეკატერინე ივანეს ასულ გელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII ს. გლდანში.

საქართველოს სსრ მთავლიტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ე. ქოჩოროვას მისი **დედის მარიამ ივანეს ასულ ქოჩოროვას** გარდაცვალების გამო.

რძალი თალიკო, ძმა კოტე, ძმისწულები ნელი და ზურაბ წერეთლები იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ წერეთელი-მაჩიტაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII ქ. ჭიათურაში, სტალინის, 83.

ნანა და ლეონიდე გორგოშიძეები შვილებით მანანა და მარინათი, თამარ ცხვედიანი იუწყებიან **ნაზიკო ალექსანდრეს ასულ კილურაძის** გარდაცვალებას.

ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ლეჟავას მისი მამის **ნოე ეგნატეს-ძე ლეჟავას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე აკვარინე, შვილები ივდითი, ოლია, ლუკა, ისიდორე, ამირიდონ, რძლები ოლია, ლიუდი, ლუბა, სიძეები ა. ქართველიშვილი ა. კერესელიშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **ფილიპე დავითის-ძე ბელთაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII, ს. მიქელეფონში (ვანის რ.)

საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. კილურაძეს მისი შვილის **ნაზიკო ალექსანდრეს ასულ კილურაძის** გარდაცვალების გამო.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თ. წერეთელს მისი დის **ვერა ვლადიმერის ასულ წერეთლის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს კინოფიკაციის სამმართველოს მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ რუსუდან დადიანიძეს მისი დის **გულისა გრიგოლის ასულ დადიანიძის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 18-VII, 8 ს გამოსვენება 19-VII, 6 ს. პასტერის, 2.

ა. ტაბატაძე, ა. თოდუა, ვლ. ბაბუხადია, ი. შალამბერიძე, შ. ლაღიძე, ა. პაპავაშვილი, ალ. გეგუჩაძე, გრ. ბაქრაძე ნ. კიკნაძე, ი. დეკანოსიძე, ი. ჯიმშელეიშვილი, ელ. ზაზუნაშვილი, შ. ძიძიგური თანაგრძნობას უცხადებენ შ. საყანდელიძეს მისი მამის **ანეპოდისტე ლუარსაბის-ძე საყანდელიძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვეტინსპექცია და თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ დავითის-ძე კობიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ხეთაგუროვის, 22.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. ფოფხაძეს მისი დედის **ბაბილინა ხპირიდონის ასულ ფოფხაძის** გარდაცვალების გამო.

ს. ენუქიძე, თ. ვახტანგიშვილი, ნ. ლაზარიშვილი, მ. ბელიაშვილი, ნ ნადირაძე, ა. საკოვა, კ. ბოჭოლავა თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და ვანო გარაყანიძეებს მათი დედის **ანასტასია დავითის ასულ გარაყანიძის** გარდაცვალების გამო.

ოლია, ნინო, ოლია, დონარა, ისაკი, სერგო, ვალერიან ძებისაშვილები იუწყებიან **ანასტასია დავითის ასულ გარაყანიძის** გარდაცვალებას.

მ. ჯაში. ა. მარჯანიშვილი პ. კობახიძე, ა. ზასილაშვილი, ა. ყალიჩავა, ნ. ქეცბა, დ. ჯაფარიძე, ა. მეავა, დ. უენია, გ. მეჯიდოვი, ჯ. ჯებეიანი, გ. ნაჭყებიაშვილი, მ. კვერნაძე თანაგრძნობას უცხადებენ შალვა საყანდელიძეს მისი მამის **ანეპოდისტეს** გარდაცვალების გამო.

შურა და პეტრე ცაგარეიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ი. ძებისაშვილს მისი სიძის **ფირუზ ხუბულურის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტისა და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 02795